

ଲେଖିତମାନଙ୍କରଙ୍କ

ବ୍ୟାହୋର
ଶତରୂପ
ରୁଦ୍ଧ...
ରୁଦ୍ଧ...



ლაქონიური ხელოვან

მოწინა

ლა

კრისტიანი...

საქველმოქმედო შემოქმედთა საზოგადოება
„მიმიწონა“-ს დამფუძნებელი ვალიკო კაკაურიძე

რედაქტორი:

მანანა გორგიშვილი

დამკაბადონებელი:

თამარ ტყაბლაძე

ყდის მხატვარ-დიზაინერი:

ანუკი გოდერძიშვილი (12 წლის)

გამომცემლობა: პარნასი

ნიგნის დამფინანსებლები:

ა(ა)იპ გაერთიანებული საფოსტო კავშირი
გიორგი რჩეულიშვილი
დავით ცაავა

ISBN 978-9941-8-5926-7

ნიგნი გამოცა სტიქით გამოწვეული შოვის და ვერეს ტრაგედიის დროს გარდაცვლილთა ხსოვნის უკვდავსაყოფად.

(შოვი-03.08.2023 - ვერე-13.06.2015)

ჯერ ვერე, ახლა შოვი, ამ უდიდესმა ტრაგედიამ შეძრა
სრულიად საქართველო, სოციალური ქსელი გაივსო, სამძიმრის
წერილებით და ლექსებით.

აქედან გამომდინარე, გადავწყვიტე წიგნის გამოცემა, მოვ-
იძიე კრებულისთვის დამფინანსებელი და განვახორციელე
ჩანაფიქრი.

კრებულში შესული ლექსებიდან, შეიძლება, ყველა ლექსი
ვერ იყოს შესრულებული მაღალი დონის მხატვრული სიტყვაკა-
ზმულობით, მაგრამ თითოეული ლექსი დაწერილია დიდი გულის
ტკივილით და სამძმარის გამოხატვით ტრაგედიის მიმართ. ამ-
იტომ შევეცადეთ გული არ დაგვეწყვიტა ავტორებისთვის და
თითქმის ყველა შემოსული ლექსი დაიბეჭდა კრებულში.

პატივისცემით მიმინო

ნინო როსტიაშვილი

როდესაც ვალიკო კაკაურიძემ შემომთავაზა შოვის და ვერეს ტრაგედიის კრებულის გამოცემაზე ერთობლივი მუშაობა, დაუფიქრებლად დავთანხმდი, რადგან ვთვლი, რომ ნამდვილად საჭირო საქმეს აკეთებს და ნამდვილად საჭიროა, ვერეს და შოვის ტრაგედიისადმი მიძღვნილი, ხსოვნის კრებულის გამოცემა, ნებისმიერი სახით, რათა თაობებს შემოვუნახოთ ეს ტრაგიკული ისტორია.

საქველმოქმედო შემოქმედთა გაერთიანება „მიმინო“-ს სახელით სოციალურ ქსელში შევქმნით გვერდი - „საქართველოს სტკივა შოვი და ვერე“. გვერდს სამ დღეში ჰყავდა 224-გამომწერი და ერთ კვირაში შეივსო კრებულისთვის მასალები. სიმართლე გითხრათ, არც გამკვირვებია ასეთი აქტიურობა, რადგან ამ სტიქიით მოვლენილმა ტრაგედიებმა შეძრა სრულიად საქართველო.

უნდა გვახსოვდეს ვერე და შოვი, რათა მომავალმა თაობებმა მეტი სიფრთხილე გამოიჩინონ ხიდების, გზების, სახლების, კოტეჯების მშენებლობის მიმართ და გაუფრთხილდნენ ბუნებას.

ნერუ

თვალით ნანახი

მზია ელიაძე

გლოვის დღე

მთელი საქართველო გლოვობს შოგს, შოვში დაღუპულ, დაკარგულ ადამიანებს... ვიზიარებ, ჩემო საქართველო, მოზიარე ვარ ამ დიდი ტრაგედიის, ტკივილის...

უფალო, შეგვიწყალენ.

შეგვინდე ერს ყოველივე ცოდვა!

მოგვეცი სიმშვიდე და სიკეთე

შოვი, გლოლა

07.08.2023წ.

ორი აგვისტო, დილა მზიანი და ნათელი. ორი აგვისტო წმინდა ელია წინასწარმეტყველის, ელია თებიტელის ხსენების დღე... „ელიაობა”, ამ დღეს მთელი აღმოსავლეთი საქართველო, სრულიად კახეთი ზეიმობს...

დედოფლისწყაროში, წმინდა ელია თებიტელის ტაძარში იკრიბებიან ადამიანები, ანთებენ სანთლებს, კლავენ საკლავს, სალოცავში უშვებენ შეწირულ მამლებს, თუ ცხვრებს... განადლებენ უფალს, სამყაროს შემოქმედს და მამა ღმერთს...

მთის წვერს შეფენილი, შეკიდული მე-6 საუკუნის ულამაზე-სი ტაძარი... ამ მთას მწოლიარე ქალის ფორმა აქვს: სახე, ყელი, მკერდი, რაც შორიდან უფრო კარგად ჩანს და იკვეთება...

ამ დღეს რაჭაში, გლოლაში შევხვდი. დილით ოჯახის მასპინძელს - დალის და ჩემთან ერთად მყოფ სტუმარს - ქალბატონ ლილის მივულოცე ეს ბრწყინვალე დღე, ავანთე სანთლი და ვესაუბრე წმინდა ელიას ცხოვრებასა და სასწაულზე. ჩვენი გვარიც მისი სახელიდან მომდინარეობს და გვარის მფარველი ანგელოზია. სამების საკათედრო ტაძარშიც რამდენიმე წლის წინ უწმინდესმა ჩვენი გვარი დალოცა, აკურთხა და ელია წინასწარმეტყველის ხატიც დაიწერა...

დღემ მშვიდად ჩაიარა. ღამით სინათლე გამოირთო, ბავშვს სიბელის შეეშინდა, მთელი ლამე ხელს არ მიშვებდა და არ მიძინია. ვხედავდი ცის ელვას და ვისმენდი წვიმის დაუსრულებულ თქეშს...

მეჩვენებოდა, სეტყვასაც ურევდა. შუალამისას გამოიდარა. ცოტა ხანში მთვარე შემოჯდა ცაზე და არემარე გაანათა, მეტიც, ვარსკვლავებით მოიჭედა ცა, თითქოს არაფერი მომხდარიყოს...

სამი აგვისტო. დღე მზიანი და ნათელი გათენდა.

ბავშვები დავაპურეთ და გადავწყვიტეთ, ტყეში ჩაფლული ულამაზესი მდინარე ჭიბი და ჭიბის ხეობა მოგვენახულებინა, რაც მართლაც არაჩვეულებრივი და არაამქვეყნიური სილამაზის იყო...

დღის სამი საათია. აი, უნდა გავიდეთ სახლიდან და მდინარე ჭანჭახის ხეობიდან საშინელი ხმა გავიგონე (არ ჰგავდა ჭანჭახის იმ ჩვეულ ხმას, რასაც დღისით, თუ დამით ვისმენდით და ნანასავ-ით ჩაგვესმოდა ყურს, მონოტონურად და ერთნაირად). ეს იყო ხე-ების მტვრევის, მსხვრევის, შეჯახების, გრუხუნის გამაყრუებელი ხმა... შეშინებულმა მასპინძელს ვკითხე, რა ხმა იყო ეს.

- ალბათ მდინარის პირას ტრაქტორები მუშაობენ! - მიპასუხა მშვიდად. მივაყურადე და არ ჰგავდა ტრაქტორის ხმას. ასეთი ხმე-ბი არსად და არასოდეს მომესმინა... გამოვედით გარეთ და ვხე-დავთ ორ მეზობელ ქალბატონს, რომლებიც სახეშეშლილი გარ-ბოდნენ მდინარე ჭანჭახის მხარეს. ვიკითხეთ და ერთმა გვითხრა, რომ ჩვენი მეზობლის სტუმრები (ახლობლები) შოვში წავიდნენ სასეირნოდ, შოვში კი საშინელი ტრაგედია დატრიალებულა და შეძრულია მთელი რაჭა... მდინარეც თავისი კალაპოტიდან იყო გადმოსული და ადიდებული. ჩვენ მაშინვე მივაშურეთ საბრალო ხალხს... საცოდავი დედა ადგილს ვერ პოულობდა... შეძლები-სდაგვარად ვამშვიდებდით, ვანუგეშებდით, მაგრამ ამაოდ... მთე-ლი დღე გარეთ გავატარეთ გაშეშებულმა და დაზაფრულებმა... ადგილიდან ვერ ვიძეროდით. ამას სინათლის გამორთვაც დაერ-თო და სრულ საინფორმაციო ვაკუუმში ვიყავით.

უცებ, ძალიან მოკლე დროში, პოლიციელებით და მაშველებით გაივსო სოფელი გლოლა. მოდიოდნენ დაუსრულებლად საპა-ტრულო პოლიციის მანქანები, ურიცხვ მაშველთა რაზმები, სას-წრაფო დახმარების მანქანები ექიმებით. ვხედავდი პოლიციის და სასწრაფო დახმარების მანქანებში პერსონალი ბევრი იჯდა, მჭიდროდ. ამას ყველა ხედავდა. გაივსო მთლიანი ქუჩა დიდი,

უზარმაზარი სამუშაო ტექნიკით. ამ ყოველივეს ერთვოდა ვერტმფრენთა ხმაური, რომლებიც შეუჩერებლად ფრენდნენ შოვი-გლოლას თავზე. თურმე ხიდის ქვემოთ, სწორ, ტრიალ მინდორზე გადმოჰყავდათ დაზარალებული ადამიანები და დახმარებას უწევდნენ...

მე და დალი (მასპინძელი) ჩავედით მდინარეზე, გვინდოდა ჩვენი თვალით გვენახა მისი დაუნდობელი სიშმაგვე. ხიდის აქეთ და იქით უამრავ ხალხს მოეყარა თავი, დავინახეთ ტრიალ მინდორზე მყოფი ხალხი, ვერტმფრენები და სამედიცინო პერსონალი. რა თქმა უნდა, მათთვის ხელი არ უნდა შეგვეშალა...

ჭანჭახი კალაპოტში ვერ ეტეოდა. უზარმაზარ ლოდებს და უთვალავ მორებს ჰაერში ათამაშებდა, რასაც თან საშინელი ღრიალი ერთვოდა...

ხიდთან მანქანა გაჩერდა და ორი შეშინებული ახალგაზრდა გადმოვიდა. მოვიდნენ ჩვენთან და უყურებდნენ ამ უბედურებას.

- ნეტავი მოვასწრებთ, შევძლებთ ხიდზე გასვლას? - თითქოს ჩვენ გვეკითხებოდნენ.

ვხედავ წამიერად მორებმა ჩახერგეს შლეგიანი მდინარე, წყლის ნაკადი შეაჩერეს და ვუყვირით მე და დალი:

- კი, შვილო, კი, მოასწრებთ, მოასწრებთ ჩქარა, - ვეუბნები და პირჯვარს ვსახავ მტირალი... სწრაფად ჩასხდნენ მანქანაში, თან ვეფერები, - ფრთხილად გადადით ხიდზე, არ ინერვიულოთ-მეთქი!

ისინი გადავიდნენ მშვიდობით, კიდევ გადავიდა ორი საპატრულო მანქანა, ორი-სამიც გადმოვიდა. ჩვენ შეშინებულებმა დავტოვეთ ეს საშინელი ადგილი, შემოვბრუნდით და წამოვედით. ათიოდე ნაბიჯიც არ გვქონდა გადადგმული, რომ იმ საშინელ ღრიალს რკინის ხმაური დაემატა. ერთი ტალღის დარტყმა, მეორის და ხიდი აღარ იყო...

...აამუშავეს ძველი (კომუნისტების მიერ აშენებული, დაკეტილ-გაუქმებული ხიდი), შეძლებისდაგვარად გაამაგრეს (ამის მნახველი ბევრია) და დაიწყო ამ ძველ ხიდზე: პოლიციის, ჯარის, მაშველების, სამედიცინო პერსონალის, დიდი და ურიცხვი ტექნიკის

დაუსრულებელი გადასვლა-გადმოსვლა. სამაშველო და პატრული ხალხს და მოსახლეობას უყურადღებოდ წამით არ გვტოვებდა...

ჩვენი სახლის წინ, სკოლაში, შეასახლეს ჯარი, სამაშველო და დაკარგულ ადამიანთა საბრალო ახლობლები საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსულები. ოჰ, ამ ყოველივეს თვალით ხილვა მეტად გაუსაძლისი იყო... უთანაგრძნობ და ვერაფრით ეხმარები... მთელი სოფელი შეძლებისდაგვარად ერთმანეთს მხარში დაუდგა. ყველა ერთმანეთზე ზრუნავდა; სოფელი - მომსვლელზე, მაშველზე, ისინი - სოფელზე... აღსანიშნავია, მეორე დღეს მაღაზიაში პური აღარ გაყიდულა. მთლიანად სკოლაში მყოფ ადამიანებს ურიგებდნენ. ამას მთელი სოფელი აკეთებდა, ვის რაც ჰქონდა, იმით უმასპინძლდებოდა იქ მყოფთ...

დაკარგულ ადამიანთა ახლობლები ვერტმფრენთან ახლოს იყვნენ დღეც და ღამეც, სადაც გადმოჰყავდათ დაშავებული ადამიანები. იდგნენ საბრალონი და ელოდნენ სასწაულს...

უთენია ჯერ კარგად გათენებულიც არ იყო, განაახლეს ისევ მუშაობა. ისეთ საშინელ და მიუვალ ადგილებზე, მთის ციცაბო ფერდობებზე ჩადიოდნენ მაშველები და სიცოცხლეს საფრთხეში იგდებდნენ. ამის შემხედვარეს ძარღვებში სისხლი მეყინებოდა... ვიდექი და უფალს ვავედრებდი ამ გმირ და მამაც ვაუკაცებს. ადგილობრივი მცხოვრებლები გვერდით ედგნენ სამაშველო სამსახურს და ჯარს ეხმარებოდნენ, უჩვენებდნენ უფრო იოლად მისასვლელ გზებს...

ხედავდით მანქანებს, ქაღალდივით დაჭმუჭნულს, გამორიყულს, მილამულს და ზედ უზარმაზარ მორებდაყრილს. ხევ-ხევ ჩადიოდნენ და ათვალიერებდნენ მანქანებს, თუ ცარიელი იყო ტოვებდნენ. ვის ეცალა ცარიელი მანქანებისთვის...

უდებდნენ სურათებს, აფიქსირებდნენ იმ მორებს, რასაც ძვრასაც ვერ უზამდნენ...

ხევის გაღმა მცხოვრებმა ახლობელმა, გვანცამ შეშინებულმა დაგვირეკა და გვითხრა, ამ ყოველივეს როგორ უყურა სახლიდან, როგორ მოაგორებდა უზარმაზარ ლოდებს, თან მოაყოლებდა მანქანებს. 5-6 დავითვალე, ქაღალდივით ათამაშებდაო.

ასევე გვითხრა ხიდის ამბავიც, თუ როგორ შთანთქა მდინარემ და უცებ გააქრო...

ვიდექით და ველოდით სასწაულს, იქნებ რომელიმე ოჯახ-ის წევრის გადარჩენა გაგვეგო და მცირედი სიხარულით ეხარა სოფელს, თუნდ წამიერად, მაგრამ ამაოდ...

ოთხი აგვისტო, დღე იყო მძიმე, რთული... ხან წვიმდა, ხან გა-დაიღებდა. ასევე ხუთი აგვისტო იყო რთული და გაუსაძლისი... აქეთ ჩემი ოჯახი იყო შეშინებული, მთხოვდნენ გამომგზავრებას, მაგრამ ამ დროს ვერ იკადრებ შენ კეთილდღეობაზე და კომ-ფორტზე იფიქრო. ვის ეტყვი, მეშინია და აქედან გამიყვანეო? (მინდა ვთქვა, ამ გაჭირვების დროსაც ნებისმიერ დახმარებას გაგინევდა თითოეული იქ მყოფი დამხმარე ადამიანი).

მე დავინახე ამ პატარა სოფლის და ერის ერთ მუშტად შეკვრა... დიდი, ძალიან დიდი იმედი ჩამესახა გულში, რომ არ გადავშენდებით, სანამ ერთი ქართველი მაინც იქნება ამ მიწის პირზე... თურმე ტკივილის დროს ერთნი ვყოფილვართ, რაც ძალიან მაიმედებს და მახარებს...

ღმერთო, გვაკმარე ამდენი ტკივილი, ცრემლი, გოდება. მოგვმადლე მადლი და სიმშვიდე... „სად გვყავს შვილები დასა-კარგავი“ და გასაწირი, ისედაც მცირე ერს!..

უფალო, შეგვიწყალენ.

მზია ელიაძე

საბო აბაშიძე

როგორ დავნერო

როგორ დავნერო ლალი სიტყვები,
როცა სიკვდილი კივის ძარღვებში,
ველარ განვიცდი სამყაროს სუნთქვას,
გოდება მესმის „შოვის“ ბავშვების.

ყურებში მესმის „ვაიმე დედა“,
შეძრწუნებული მათი თვალები,
ვერც მოასწრებდნენ ლოცვას უფალთან,
გადაუხდელი დარჩათ ვალები...

ვალი სიცოცხლის, ბედნიერების,
ვალი ქვეყნის და მშობლის წინაშე,
რა იქნებოდა, მათაც ეცოცხლათ,
პეშვებით ესვათ ტკბობის ზედაშე.

რად კვნესი, ქარო, რად ხრი წამწამებს,
რად, ზეცავ ჩემო, ქვითინებ უხმოდ,
ამ ჩამოშლილი მთების შემყურე,
თქვენც ველარ გიტანთ, გიცქერით უნდოდ.

როგორ დავნერო ლალი სიტყვები,
როცა სიკვდილი კივის ძარღვებში,
ველარ განვიცდი სამყაროს სუნთქვას,
გოდება მესმის „შოვის ბავშვების“...

მ წ უ ხ ა რ ე პ ა

ბინდი ჩამოწვა საქართველოში,
გლოვის ზარია ჩვენს ქვეყანაში,
სტიქიამ ხელი დაგვრია,
შოვში და ზემო რაჭაში.

დაუნდობელმა მეწყერმა,
აღარ დაზოგა დიდი - პატარა,
საშინელებამ შეძრა სამყარო,
ბედკრული ხალხი ბნელში ჩაყარა.

სტიქიას ებრძვის საღი ძალები,
დროზე გაირკვეს - რა ხდება,
ცუდის მოსურნეც მრავლად გამოჩნდა,
ჩანს... ბოროტებას არ ეშველება.

ბერ ალნია

მზის მხარეს ვდგავარ

წვიმს...

მუშტისხელა წვეთი დარდივით
მეცემა, მინგრევს გულის სარქველებს...
მოლოდინი კი ისე უტყვია
და ისე თალხი ჩემი განწყობა,
როგორც ამბავი იმათი, ვისაც ცოდვის და მადლის
ანაბეჭდები აცხია სულზე.
ის კაბა, შენ რომ ვერ მოგაწონე,
აღარ გამიცვდა, ისევ მაცვია
და ზურგშექცევით ვუზივარ ამბავს,
სადაც ეშმაკი აწყობს ჯოჯოხეთს -
ცხელ კუპრში ურევს ყველა ფერს ერთად,
სადაც ხმამაღლა ისმის ყველა ხმა -
აგვისტოს მზეზე მყინვარის ლლობის,
მეწყრის გრიალის,
მთების ნგრევის,
ცოლმვილდაკარგულ კაცის გოდების,
ლაფში დაფლული ბავშვის ტირილის,
შლეგი ღვარცოფის გატაცებულთა „ღმერთო, გვიშველე“-ს,
ხეებისა და ლოდების ლენვის,
მოგლეჯილ ხის ქვეშ მოყოლილი კაცის ბოლო ამობლავლების,
შვილმკვდარი დედის, ზეცის გამხევი, მოთქმა-კივილის,
უკიდეგანო, უნაპირო ტალახის ბორგვის
და უსასრულო ჯოჯოხეთის უწყვეტი გრგვინვის...
პო, ზურგშექცევით ვუზივარ ამბავს,
რომელშიც უკვე წალებულია
სიკვდილ-სიცოცხლის უშრეტი ხიდი,

ხიდზე, რომელზედ დგება სიკვდილი,
მხოლოდ სიკვდილი გარდაუვალი!..
ზურგით ვუზივარ და ვცდილობ სადმე,
რომ დავინახო ის ბეწვის ხიდი - სიცოცხლის ხიდი,
სამყაროსთან რაც გვაკავშირებს
ყველა მსხვერპლსა თუ მსხვერპლად განწირულს.
მეზობლის ბავშვი ბედისწერის მრუმე სავალზე
მეჩვენება თუ საშველად მიცდის?!
მძულს ამ წუთებში ჩემი თავიც,
რომ ვარ ცოცხალი...
მგონია, მათი სიცოცხლის მმართებს...
და ვბორგავ, ვეღარ ვეტევი კანში,
ცეცხლწაკიდებულ ტყესავით ვიწვი.
იქნება ვინმე მთებს შეეხიზნა
და დღის თენებას შეესწრო იქნებ?!
დავეძებ იმედს - მზისკენ მაქვს მზერა!..
ასე თქვეს, ხიდი აღდგენილია,
ზედ წლები მშვიდად გადაივლიან...
და ამ ამბავში დავეძებ ჩემს თავს.
ერთნი ვართ ახლა -
ვინც ხიდზე უკვე გადაიარა,
ვინც ჯერ გზაში ვართ
და კიდევ სხვები - მომავლიდან დაგვეწევიან...
მაცვია კაბა, რომელიც ვიცი,
რომ ასე გიყვარს და დღემდე ვიხდენ...
მზის მხარეს ვდგავარ!..
მეზობლის ბავშვი გამორბის ჩემკვნ...
შენ დედაჩემის თვალებით გვიმზერ...
შენ დედამიწის თვალებით გვიმზერ,
მთელი სამყაროს თვალებით გვიმზერ!..
და მჯერა, მჯერა,
მჯერა შენი ყოველი სიტყვის,
რომ ყველა ცოდვა, ერთხელ უკვე -
სამარადისოდ, გამოისყიდა შენმა იესომ!

ბალათის ახაბები

შრ ი ლ ო ბ ა - მ ო ვ ი

დარდი და სევდა ვერ მოვიშორეთ,-
თითქოს შემოგვწყრა ღმირთიც, ბუნებაც...
და გულში ჩნდება ჭრილობა - შოვი,
რომელიც აღარ განიკურნება!..

თქვენთვის დაინთქა მზეცა და მთვარეც,
(ყველა გარდაცვლილს ჰქონდეს ცხონება!..)
ბავშვებო, ჩეარა გამოდით გარეთ,
მაგ კოტეჯებში არ გეცხოვრებათ...

უფალო, ნეტავ რა დავაშავეთ?!
რაც მდვა გვტანჯავს, ან რაც დუნება?!
გულში დარჩება ჭრილობა - შოვი,
რომელიც აღარ განიკურნება!..

ასეთი ბაბაგიშვილი-ჯანაბეგვიძე

მთკივა მოვი

ცრემლი გაშრა, გული გასკდა
ამ ვაების მნახველი,
ამ საზარელ ტრაგედიას
არ ერქმევა სახელი.
ტირის მთელი საქართველო,
ვერ მორჩება იარა,
ღიმილიან სახეებზე
ღვარმა გადაიარა.
მთიდან შოვში დაექანა
სასიკვდილოდ ღვარები,
მოკისკისე გოგო-ბიჭებს დაუბნელა თვალები.
ტირის მამა, მოსთქვამს დედა,
გული უკვნესს ახლობელს,
ცრემლის ღვარი ტალახს ალტობს,
იქნებ ერთიც გამოჩნდეს.
ზოგი უკვე ღმერთთან არის,
იქ, სამოთხის ედემსა,
ოჳ, სიკვდილო, სხვები მაინც
შეარჩინე დედებსა.
ღმერთო, ყველა შეიბრალე
და სიკვდილი გვაკმარე,
ნუ ჩააქრობ სხვა სიცოცხლეს
კალთა გადააფარე.
საქართველოს გული კვნესის,
ღმერთო, მუდამ, როდემდე,
გევედრები, დაიფარე
და წყალობით მოხედე.

შისინო ბაბუშიძე

მამებო...

დასჩერებიან ამლვრეულ ზვირთებს
სისხლით ავსილი სველი თვალებით...
უხმოდ, უჩუმრად გულში ბლავიან
„ტალახის ზღვასთან“ პაპა... მამები...

ზოგს სამი შვილი, ზოგს - ერთადერთი! —
აქ ჩაეკარგა, მიწის უბეში...
როგორ მოვქებნო, მამებო, სიტყვა...
სად ვპოვო ძალა, რომ გცეთ ნუგეში?

ვიცი, რომ ახლა თქვენც მყინვარივით
ჩამოგდით გულზე ცივი მდინარე...
ეგ სიჩუმეა ახლა ღვარცოფი
სისხლად და ცრემლად გადმომდინარე...

რით გინუგეშოთ, მამებო, გული,
რითი გიშველოთ, ბებოვ და პაპავ...
ვტირი თქვენსავით... ცოდვილ მინაში
იმედს უბადრუკ ლექსებით ვხაპავ...

გულს მიკლავს თქვენი მხრების ცახცახი,
თვალ - ვულკანების მრისხანე მზერა...
ვაგლახ, მამებო, სიკვდილ - სიცოცხლის
მიჯნას ტალახის ზვირთებში ზვერავთ...

მე, ასე ცოდვილს, წილად რატომ მხვდა
ამ ანგელოზთა ბედზე გოდება...
უფალო, შეგთხოვ, ეს ცოდვის კითხვა
ნულარასოდეს განმეორდება!

ՅԱՅԼԵՑՐ...

ԿԵԴԵԼԻԵ ԵԽԱՔԻ ՈՐԻ ԳՇԱԼԻ,
ԹԻԵ ՈՐԾԵՌԴԱ, ԳԱԼՈՄԵԾՇԱԼԻ,
ՄԱԳ ՇԵԲՈ ԲԻՆԵՈՒ ԾԱ ԱԽԱԼԿԱԲՈՒ,
„ՇՈՎ“-Ը ՐՈԹ ՈՉԵԿՑԵ, ՇԱՎԼԵՑՐ...

ԵՇԳԱ „ԾՇՄԾՇՐԱ“-Ը ՆՈԱԼՎՐՈՒՍ ԳՇԱԼԻ,
ԲԱՄՈԿԾՊՎԱ ՃՅԱ-ԿՎԱԼՍ ՏՎԱԼԱՄԾՎՐԵՇԱԼԻ,
ՐԱ ԵՎԼՈ ՈԿՈ ԱՅ ԳԱՐԵՇԱԼԻ?
ՑԱՐԵԲԱՋ ՄՈՒԿԾԱ, ՍԱՄՐԵԿԼՈՒ!

ՐՈԳՈՐ ՇՄԻՋԵՌԴ ԲԱՄՈԳԵՆԿՎԴԱ ԵՎԼՈ?!

ՅԵՐ ԾԱԿԺԵՐԵ ՏՈԿՎԴՈԼՈՒ ՃԵՐՈ,
ԸԼԼԵՍ, ԱԼԾԱՏ, ՇՆԾԱ ԾԱ ԳԱՑՄՎԴԵՍ ԵԼՎՈՒ,
ԺԱՐՄԱ ԺԵԺՎԵԲՈ ՆԵԼԵԿՈՍ...

ՆԵՐՈՒՇՐԱՅԱ ՏՈՎՈՎԵԼԼԵՄ ՏԵՎՎՈՒԹ,
ԿՑԵԼԳԱՆ ՏՎԱԼԵԲՈ ԳԵԺԵԲԵՆ ԸԵՎՈՒՍ,
ԸՎՏՈՒՍՄԺՈՒԼՈՒ ԿԱԼՏԱՍ ՄՈՂԱՆՎԴԵՍ ԾԵՎՈՒ,
ՏԱՎՍ ՅԵՐ ԱՎԳՈՆԾ, ՇԱՎԼԵՑՐ!

ԳԱԾԱՌԻՅԱՌԴԵ ՏԵՎԱ ՏԵՆԱՆՇԱԼՄԻ,
ԹԻԵ ԲԻՆԱՎԼԱ, ՐՈԳՈՐ ՇՄԾՎՇՐՈ,
ԺՎԵԲՈ ԾԱՑՎՈՎԾԱ, ԲԱՑՄՎԾԱ ՇՐԾՎԱԼՈ
ԾԱ ՇՈՐՍ ԳԱՑՇՈՐՖՆԵՆ, ՇԱՎԼԵՑՐ!

კამარად შლიდა ხეობა დუმილს,
წყალი იკლავდა მრისხანე წყურვილს,
გადაეფარა ყოველგვარ სურვილს...
თვალებს ბნელეთი დაედო.

კამარად კინძა ხეობამ ხმები,
გულებად შერჩა კედლებზე ქვები,
მოდი, გაშალე მზისფერი მხრები...
ისევ იცეკვე შ ა ვ ლ ე გ ო ო!

ადამიანო!..

ტყეო, ქვესკნელად ჩამოჭრილო, დროთა კვალს სდევნი,
მირონი მოდის სვეტიცხოველს, ტირის სანთელი,
დღეს ამ ჯოჯოხეთს, ბნელს და წყვდიადს, მიწად განფენილს
ქარი წაილებს, ქარი მასაც ზეცად განდევნის.

შემოგვიწყერი, გაავდარდი ასე ამაყი,
დაგვისამარდა სიხარული, შენს გზად სავალი,
თითქოსდა ჯავრი მოიოხე, თითქოს დანაყრდი,
ჩამოეშალა მთათა კალთებს შენი ვარაყი.

რანი ვიყავით, მაგრამ უფრო რანი დავრჩებით?!..
ტყეო, ბუბუნებ, შენ არ ნანობ ცოდვას, გამხელილს,
გულს თუ მოგილბობს, მოგიშუშებს, ძველი ნამლერი?
„ტყე შეუნახე შვილებსაო“-ს, ნანინად ელი.

მწარე ტკივილი ისე გვიჭერს ახლა არტახებს,
იქნებ, შენ გვითხრა, ერთმანეთი რატომ დავკარგეთ,
კლდენო, იქნება აგუგუნდეთ, იქნებ, ხმა გაგვცეთ,
მიწავ, იქნება ამოგვძახო, სანამ წაგვაქცევ.

დიდებულ ხმაზე ვერ შრიალებს ტყე, გაზიდული,
გულამოცლილი დაღვრემილა აქვე, ტყიბული,
„ძაბას ხეობას“ დაუმალავს მთები, მიდგმული,
სენაკს დაშლილა გაბრიელის ქოხი, ფიცრული.

კურაპალატის სული ბორგავს ახლა არტანუჯს,
დღესაც გლოვა აქვს, „გამყიდველ“-თა მიერ დატანჯულს,
სტირის თამარი, საუფლოდან და მას კვლავ ძალუძს!..
და განიკითხავს აქ კადნიერ ყველა „ბრმა“-ს და „მუნჯ“-ს.

ნეტავი, სულის ვნებამ სულაც გადაიაროს,
ტყეთა წიაღში მგალობლებმა სულ იფრთხიალონ,
იქნებ, რამ გვითხრან, ძველ ფესვებმა რამე გვიამბონ,
იქნებ, შეჩერდე, შე ე ჩ ე რ დ ე, ადამიანო?!

ლამას დუქანი...

ლამეს დუქანში გავათევდი, სევდის ლანდებთან,
მათ გავუმხელდი სადარდებელს: „დღემდე რა ხდება?“
ბინდს გარინდებულს, მოფარებულს გარეთ, სარკმელთან,
შემოვიჩვევდი, დავახვევდი ჭრაქის ალზედა.

მძიმე კაეშანს დავიტოვდი, როგორც საბურველს,
ჩემი ქვეყანა, ლმერთო, როგორ ურცხვად გაქურდეს,
„შოვი“, ტკივილად ჩამიყენეს გულის საყუდელს,
მოთქმა-ტირილი ჩამიკირეს გლოვის საყურედ.

ერთ დროს მღეროდა წიკლაური ამგვარ სიტყვებით:
„იყიდებაო საქართველო“ და ჩვენ ვითმენდით,
ჰო, გავიხსენოთ!.. დღესაც გვძინავს, დღესაც ვის ველით?!
ახლა მდუმარედ გადაშლილა მწარე ფიქრები.

უკვე არ ვიცით, ხვალ და ზევით, კვლავ, რა მოხდება?
ახლა, სულ თავზე დაგვტრიალებს „შოვი“, გოდებად,
ვეღარ ვგებულობთ, საით მიდის დრო და ცხოვრება,
ვაი, თუ ისევ, მიგვატოვონ „ანგელოზებ“-მა.

მიწას, სადაც რომ წყალმა მათი ძვლები ჩამარხა,
ვემთხვიოთ, უფლის ნებით, მაინც, სხვას ნუ გავატანთ,
ჩვენ ხომ დავტოვეთ მთაც, სოფელიც, მოველთ ქალაქად,
მას დავემკვიდრეთ, ახლა, მასაც ვურლვევთ გალავანს.

...ღამეს დუქანში გავათევდი სევდის ლანდებთან,
კედელზე კვამლი დაირწევა, ისე თავნება,
ფიქრებს, წამოშლილთ, ჩვენი მრუმე ბედის თავზედა,
მათ აქ ჩაგაქრობ, სიგარების ბოლო წამწვებად.

მერე მეც დავლევ, გადავიხსნი გულზე, ნატყვიარს,
ჭიქას ცვარი აქვს, ღვინოს ძველი ხიბლი ატყვია,
სადლეგრძელოსაც, მადლობა ღმერთს, მისი მადლი აქვს,
საქართველოში გმირთა აკვანს ვიცი, კვლავ თლიან!..

პოპისპირულ წვიმაში

(ვერეს ტრაგედია)

ღამე, კოკისპირულ წვიმაში...
ღამე, გადახერგილ ბილიკთან...
ხეთა წამოშლილი ხელებით
მიწა „ვერე“-ს წყალთან მივიდა.

მოწყდა ბეთანიას მეწყერი,
მოწყდა... „ჯოხანის ხევ“-ს ჩამოსცდა,
მერე დაეტაკა გვირაბებს,
სადაც ჯოჯოხეთი წამოსცდა!..

ცოდვა დატრიალდა მიწის პირს!..

წყალმა ატივტივა სახლები!..

როგორ გაიმეტა თბილისი?!

„ვერემ“ ასე გვითხრა სათქმელი?

ახლა აქ ცამეტი „ვერე“-ა...

მწუხრის, მზის სხივების შეღევა,

თითქოს, მოწურჩულე ტალღებს ჰგავს

მისი მტკვრის ტალღებთან შერევა.

ახლა აქ ცამეტი „ვერე“-ა...

თქვენი ვაჟყაცობის საწინდრად,

ვინაც, კვლავ, ქართული გენი ხართ,

უკან დახევა რომ არ გიყვართ!

ახლა აქ ცამეტი „ვერე“-ა...

თითქოს, ამ სიცოცხლის ნაწილი,

თალხად მთათა ფიქრი ჩამოაქვს,

მიწა, ხეებისგან დაცლილი.

...ახლა აქ ცამეტი „ვერე“-ა...

ცალ ბანაური

ისევ...

ისევ აგვისტო, ისევ ტკივილი...
ისევ და ისევ დედის კივილი!
დღეს გლოვის საბანს იხურავს რაჭა,
ლმერთო, გვაკმარე ეს, იყო რაცა...

გული ტკივილმა დაქოდა, დაჭრა...
დედის გოდებამ მუხლებზე დამცა!..
რამდენჯერ უნდა დაგვჯაბნოს დარდმა,
იყო ეს ალბათ შოვისთვის ჯვარცმა..

წმინდა სანთელი იწვის და დნება,
ლმერთო, რამდენი სიცოცხლე ქრება..
იქ, ზეციერში ალბათ ხარობენ
და წმინდა დასთან ერთად გალობენ!

ԹՐՅՈ

մոարձակ սյուլուս դամშրալ շալապոթս,
չողջոնետուան օսմուս լրուալո,
նուռու ոյւդա օսյու ցլալաթոծս,
րուտ ալար ցպուցնուս աճամիանո...

զեսվեծքատերուու մոյես ներգեծո,
մենո չշարուուտ սագ ար վագիարե
დա կուցա բամդյոն մակյուս դամոցյեծ,
բամդյոն ցոլցուաս ցամոմաթարեծ...

ԸՆԿՐԱԴԻ ՈՒՄ ՏՈՒՄՑԱ, ԹԱՑՐԱՅ...

Տումուա չուկլուր արս, անյուցեմո ժորուտ նարձանուու,
րուցա սամպարու չնեծուրագ տավոն ցեմեռօնա...
ներգար արուան - զոնց օխուա րողոր ագորդո
դա լուսուլունո մատու սյուլուս մենտան սակմունագ...

Վաճառա մերյեծո զեր չուկլեծեն ամեցելա գրուրտս դա
չշեր ար ուրուան - րաա մագլու դա րաա չշարումա...
րուցա տոջոնուս նուգա չփորտ, ամուգոմ չպարուրտ -
րաս նոմնացս նուգուն (տունդաց մենո նունեցնուտ) չշարումա.

ხან დადუმდები და ხან ლავად ამოინთხევი,
დამშრალ სულიდან გადალენავ სულის მირაჟებს
და არ გამიშვა არასოდეს პატარა ხელი,
ხელი, რომელიც ზეცის კიდეს ჯაჭვით მიაბეს...

არ გამიშვა-თქო, არ წაგილოს დროის მეწყერმა,
უნდა წამგლიჯოს შენი თავი ისე ღრიალებს,
ისე, ვით ფარას გამოარჩევს - კეთილ მწყემსებმა,
რომ არ გტკენოდა ხორციელად, უფალს მიგგვარეს.

რა არის - ურულლვით რომ დაივლის,
პირჯვარზე ღმერთივით ამიყვანს...
ოლონდაც შენამდე მოვიდე,
დანარჩენს ყველაფერს ავიტან...

როგორ მოგითხავლდა სამძიმები...

რაჭის ტრაგედიის გამო...

როგორ მოგიმრავლდა სამძიმები,
გულო, გასახარად არ მინდები!
წვიმა გადიდგულდა ბარძიმებში,
სულში ჩაიხუთა ამინდები...

მინა ირწეოდა აკვანივით,
ძრნოდა უჩვეულო მორჩილებით,
სხვისი შვილებივით, აყვანილნი,
პატრონს დაეძებდნენ თოჯინები...

წყალწალებულს, თითქოს ღმერთიც გტოვებს,
ველარ ეჭიდები იმედის ხავსს,
უსასრულო სევდის ნამყენ რტოებს
სული ხეხილივით გამოისხამს...

ვიდრე ცოდვილიან ხორცს ვიბანდი,
მკანრა გულგრილობის მღამიობმა,
ზეცა - დედამიწის ყიფლიბანდი
ქვეცნობიერივით დამიობდა!..

სული ამინდივით დაიხუთა,
ფრთები მოეკვეთა ანგელოზებს...
და დევს საქართველოს დარდის ფუთა
ლაფში, გახამებულ შავ მდელოზე!..

ბათი ბოცნები

შოვი

მთა-გორებს შემოალენა,
ლავამ ნაჯუჭით ნებალი,
ჩაყლაპა თეთრი კაბა და
მოვის წითელი პერანგი...

ღმუოდა შოვის კალთებზე,
თვალშავა თვალის ვნებანი,
წინ ვინც დაუხვდა, იწირა,
აივსო ცხედრებ ვენანი...

ღვარცოფებს გაუჩინარდა,
ქაფ-დუჟებს მკვირცხლი მერანი,
ვაი, რომ ვერსად ვერ ნახეს,
ფრთებდაჩეხილი ქედანი...

ბავშვი, დიდი თუ პატარა,
სიკვდილს გადურჩა ვერავინ,
მიწამ იხუტა ცივ გულში,
გლოვით ძირს დასცა დედანი...

მამებს?.. მამების გულ-ღვიძლში
მნარედ დუღს ბალლამ-ნექტარი,
მათი შემყურე სიმწრისგან
ქვა ქვას დუღდება, ღმერთმანი...

რა გვჭირს ასეთი, უფალო,
რა ცოდვა გვიძევს ნეტავი,
რომ არ გვეღირსა სოფელი,
უცრემლო, ბედით ნეტარი...

მთა-გორებსა შემოალენა,
ლავამ ნაჭუჭით ნებალი,
ჩაყლაპა თეთრი კაბა და
მოვის წითელი პერანგი...

მთების გმინა...

რეკს სამშობლო დედო ზარებს,
ზარებს ცხარე ცრემლი სტკივათ.
საქართველო კუთხე-კუნჭულ
თქეშით წვიმამ ააკივლა...
ღვარცოფებმა მეწყერ-ლავის
ხმებით ინყო მსხვერპლთ შენირვა,
ჩამოშალეს შოვის მთები,
მთებს აღმოხდათ მკერდით გმინვა...
ვაი, ჩემო სისხლო, ხორცო,
ჭრილობებით როგორ ქშინავ...
რად არა აქვს მინას შოვის
გამჭვირვალე ფარდით მინა...
ტალახიდან ამოყვანილ
შვილს წავიყვან სახლში შინა,
სხეულიდან ჩამოვბანო
დახლეჩილი თავგანწირვა...
მამა, მინას რომ ჩაპბლავის
მწუხარებით გულს იგმირავს,
შენი ხილვით გავახაროთ,
არ დაღალოს მოლოდინმა...
დედა ახლა სიზმრებშია,
გაიღვიძოს ხვალე მშვიდმა,
დაცხრილული, ნაისრალი,
შეუხორცოს ნახვით შვილმა...
კმარა!.. კმარა!.. ამდენ ტკივილს,
ნუ ექნება ჩვენთან ბინა...
საქართველოს სიყვარული,
მე უცრემლო გულით მინდა...

თამაში ბაბუნი

შოვის გოლგოთა

მოწმენდილ ცაზე გავარდა მეხი -
ტრაგედიას წუხს მთლად საქართველო:
სატანამ რაჭას დაადგა ფეხი -
დაუბნელა ბევრს დღე სანათელო...

რაჭას, დატანჯულს ჯერ მიწისძვრებით,
მოუხდა წარლვნის იმ დღეს ატანა,
იფიქრებდა კი ვინმე წინსწრებით,
თავს დასტეხოდა მეწყერ-სატანა?!

საქართველოში ამერ-იმერი
დარჩა წელს ავდრით ნათეს-ნასეტყვი.
ხვალ გადავრჩებით? გვქონდეს იმედი?
ღმერთო, ნუგეშად ქართველს რას ეტყვი?!

წელს მოსრა გვალვამ ზვრები, ხეხილი...
შოვში ციფრებით სიცოცხლის ნუსხა,
დადო მეწყერმა მთათა გრეხილი,
მოაშანდაკა სიკვდილის სუსხმა!

...დედა-წულიან ოჯახი გაწყდა-
თითქოს დაატყდა ურდო მონლოლთა -
ინფარქტად ექცა ბევრს თანაგანცდა.
რა სასტიკია შოვის გოლგოთა!

ბევრჯერ მავანთა გვინახავს წასვლა,
დროით, მიზეზით დღემდე სხვადასხვა,
მაგრამ რა ძალა მონახოს კაცმა,
სიკვდილი როცა მისდევს გზადაგზა?!

შოვს ბედისწერამ არ ქნა საშველი...
გადასარჩენად უცნობ-ნაცნობის
სიცოცხლეს როცა სწირავს მაშველი,
შარავანდედი ამკობს კაცობის!...

იყოს ეს მსხვერპლი უკანასკნელი -
მეხთატეხაში იმ დღეს გამქრალთა!
ცად, სასუფევლად იყოს ამსვლელი,
სიცოცხლე ვისიც იმ დღეს განქარდა!

სხვა განსაცდელნიც გვაკმარ-გვაშორე,
ლმერთო, ქართველებს გვაქვს თხოვნა დიდი -
სტიქიით ქართველთ ნუ დაგვაშორებ!
მიეც დღე გრძელი, სიცოცხლე მშვიდი!

...სამ აგვისტოს, წელს, შოვში დაზამთრდა.
ახალ გოლგოთად სხვა ნულა მოვა!
ლვთისმშობელო, გთხოვ, ქართულ ტაძართა
სანთლებს, ერს, შოვი „სხვა“ ნუ აგლოვა!

თიხა ბელაშვილი

მე მტკიცა შოვი

გაუჩერებლად რეკენ ზარები,
ზეცა გუგუნებს, ცრემლად იღვრება.
ემმამ გაულო ლვარცოფს კარები,
ავად ხარხარებს, აღარ იღლება.

წამი გაჩერდა და გაიყურსა,
ზეცას შეასკდა ვაება, გმინვა.
შენირულ კრავთა განწირულ კივილს,
გადაუარა ლვარცოფის გრგვინვამ.

და ეს წალკოტი, შოვის მშვენება,
წამების რისხვამ გაანადგურა.
ამ გამეფებულ გარინდებაში,
იმედი სადლაც გადაკარგულა.

ტალახიდან კი ოცდაცამეტი,
მალლა აიჭრა სული ნატანჯი.
ტკივილი დიდხანს არ განელდება,
დაგვრჩა შედეგი, მნგრევი სატანის.

შოვი

სიზმრად მიმავალს ცა ჩამომექცა,
ვარსკვლავთ მოესხათ მანტია შავი.
მთვარეს ცრემლები ლვარად სდიოდა,
ავი სიჩუმის გამეფდა ნამი.

ვერ გადავადგი ნაბიჯი ვერსად,
ზაფრა დამეცა და გამაქვავა.
წუხელ სიკვდილმა ბევრი სიცოცხლე,
ურცხვად წამტაცა, არ განასხვავა.

პვეყნის ტკივილი

ისევ ჩაიცვა ძაძა ქვეყანამ,
ისევ ცრემლები მოედინება.
ისევ დასეტყვა ავმა სატანამ
და ისევ ღვარძლი გადმოდინდება.

არავის ინდობს დიდს თუ პატარას,
ახარებს ქვეყნის ტკივილი, დარდი.
ხარხარებს, გულზე აბიჯებს მტკივანს,
რომ არ მოურჩეს იარა სალბით.

არად შეისმენს არც დედის ტირილს,
შვილის ძებნაში დაღლილ-დავარდნილს.
არც შვილის სტკივა მშობლის მაძებრის,
არც მამის - შვილზე დარდით გადაღლილს.

ამდენ სიცოცხლეს როგორ ითვისებს,
თავის სავალზე არაფერს ინდობს.
სისასტიკეში ბადალი არ ჰყავს,
გაანადგუროს - თავს ამით ირთობს.

ამ ლამაზ მხარეს - ღვთისმშობლის წილხვედრს,
თაობებს ართმევს, არას დაეძებს.
ისინი მხოლოდ გარდაიცვალნენ,
ზეცას ამაღლდნენ, სანთლად დაენთნენ.

ტკივილი

კერძო და შოვს

დედის და შვილის გოდება,
რად დაგვეხედა მარად.
ამდენ ანგელოზს რომ გვაროთმევს,
რად გვყავს უფალი მწყრალად.
ძაძები ვერ მოვიშორეთ,
ველარ ვიცინით ლალად.
ღმერთო, შენ იცი სიმართლე,
ვიცი, შეისმენ ლალადს.

ვერა

ვდგავარ ახლა ახლად აღდგენილ გზაზე, წყნეთის ზემოთ
და დაზაფრული ვუყურებ ჩამორეცხილ და ჩამოშლილ მთას,
საიდანაც დაიწყო ვერეს ტრაგედია. ქვემოთ გადახედვისაც კი
მეშინია. ბუნებისგან მოვლენილ სტიქიას როგორი საშინელების
დატრიალება შეუძლია, ადამიანები კი უძლურნი ვართ ბუნების
რისხვის წინაშე. სიცივეს ვგრძნობ, სულის გამყინავ სიცივეს და
მონუსხული შევყურებ ჩამოქცეულ და ჩამოშლილ მთას. გაუმ-
აგრებიათ, ბეტონის კედლებიც გაუკეთებიათ და რკინის ბადეც.
დაბლა ვიყურები და ვფიქრობ: ეს ამდენი მიწა და მოვარდნილი
ღვარცოფი იქ, ქვევით თბილისა დაესხა თავს და ბევრის სი-
ცოცხლე შეიწირა, ყველასთვის საყვარელი ზოოპარკი დაარბია
და დახოცა ცხოველები, რომელთა ნახვით ბავშვები ერთობოდ-
ნენ და ეცნობოდნენ ცხოველთა სამყაროს. რამდენი ადამიანი და-
ტოვა სახლის გარეშე.

გლოვობდა საქართველო დაღუპულებს. ჭირში ერთად დგომა
კიდევ შეგვძლებია. ერთსულოვნად იშრომა ყველამ, დიდმა თუ

პატარამ და ერთად დგომით გაასუფთავეს ქალაქი. გული სია-
მაყით და სიხარულით მევსებოდა, ასე ერთმანეთის მხარდამხარ
შრომაში ჩაბმულ დიდს და პატარას რომ ვუყურებდი და მეა-
მაყებოდა, რომ ასეთი კარგები ვართ ქართველები, ჭირში ერ-
თად მდგომნი.

ახლა კი ვდგავარ იმ ტრაგედიის სათავესთან და ვფიქრობ: ვინ
იცის კიდევ სად და როდის გვიმზადებს ბუნება ამბოხებას, კიდევ
როგორი ტკიფოლის მომსწრე გავხდებით.

2018 წელი, ივლისი

ნები ბიუნაშვილი

36 უსარ

მეწყერის ელდა თავზარდამცემი
თავს დასტყდომია რაჭის მშვენებას,
ოჳ! ეს სტიქია დამანგრეველი...
ნუთუ უპირებს გადაშენებას.

იყო ქარი და ძლიერი დელგმა,
გლოვის ზარებმა შემოჰკრეს მძაფრად,
სტიქიამ შეძრა დღეს საქართველო!
ჭექა-ქუხილის და მეხის მსგავსად.

სქელმა ღრუბელმა, შავმა და ბნელმა
ჩამოილექა მთების რაფაზე,
ზღვად იქცა ცრემლი, წვიმად წამოსკდა,
გადაიარა შოვის კალთაზე.

დღეს ამ მშვენიერ რაჭის მთის კალთებს
რად დაჲკარგვიათ ხასხასა ფერი,
შავი ძაძები ჩაუცვამს ყველას,
დამწუხრებულა ნაძვების ტევრი.

კავკასიონის მწვერვალებიდან
ცრემლი ჩანჩქერად მოედინება,
ალარ ილიმის მზე ცის ტატნობზე,
ალარც წათელი მოეფინება.

ჩემი საუფლო და ჩემი ღმერთი!
ნეტავ რას მეტყვის, რასა მპირდება,
უფალო! შეგთხოვ, აალორძინე!
რაჭის მშვენება, შოვის დიდება!

ზეცის ტირილი

ისევ შოვი სტკივა ზეცას,
წვიმს, ცრემლებად იღვრება ცა,
ტირის ცა, ასველებს მიწას,
მაინც ვერ ინელებს ბუბას.
სიცოცხლე წაართვა პავშვებს,
დედას არ დაუნდო მკერდზე,
ქვეყანას ჩააცვა შავი,
სურათი დატოვა კედელს,
გმინავს, დედამიწა ტირის,
ტალახმა ჩაძირა ცოცხლად,
ძებნაში, მაშველებს ჯარის,
გული გაუჩერდა გმირებს,
ერმა ჩაიცვა ძაძები,
ჩამოწვა მწუხარება ხევს,
ღმერთო, გვაკმარე მწუხრი და
ღიმილი დაუტოვე ერს.

გლოვის დღე

დამწუხებულია, ტირის ღვთისმშობელი,
რამდენ ურვას და ვაებას მოვესწარით
და რამდენ სიცოცხლეს ჩაუქრა ვარსკვლავი,
დაუშვით დროშები, დღეს გლოვობს ქართველი,
ჩვენ და სანუგეშოდ რას ვერ მივაგენით,
შენი მცნებებით ვცხოვრობთ ქართველი, ღმერთო?
დაირღვა ერთობა, დაგშორდით, უფალო,
მუხლმოდრეკილი ვითხოვთ შენდობას, ღმერთო!

თამა ბობიძე

მგლოვიარე ხარ დღეს, საქართველოვ!

რვა აგვისტომდე შოუი აგტკიცდა,
ლოცვების დროა, ჩვენთვის, ქართველნო, -
დაფუმებული დგას ნიკორწმინდა!

ახლა განკითხვის დრო აღარ არის,
ახლა გლოვის ზარს სამრეკლო გვამცნობს,
თურმე რამდენი პატარა ქალის
ნაულეკია სიცოცხლე ღვარცოფს!

ახლა სიტყვების თქმაც არის რთული,
ახლა ნიავიც არ უნდა კრთოდეს...
და უნდა ყველა ქართველის გული
ტკივილისა და ტანჯვისგან თრთოდეს.

ახლა შავია გულ-მკერდი შოვის,
რაჭის ლურჯი ცაც ახლა შავია...
და რომ უამი დგას ქართველთა გლოვის,
ყველა ჩვენგანი დამნაშავეა!

ՖՐԱԶԵՇՈՒ

Ճավուսչենց, աելա մարտլաւ ճավուսչենց,
Ռովուս մինա ճագչենց նօալզարաւ,
Քրագեժու ճապրուալդա սամժոծլոշի,
Գլուխա ջարհիեծա մյուժամ ջուլուս օարաւ.

Ճավուսչենց, սամյուժամուժ ճավուսչենց,
Կրյեմլու մուծուս, նզոմաւ ցուժան նամուզուժա նօալվարաւ.
Ճասչենցի ճագչուի մեռլուժ օարաւ,
Քրագեժուամ յըրտաւ յաժագչուարա.

Շյօմունեն Շազ սամուշու յարտչելյեծի,
Տան ճագչուած քուզուլյեծի մարաժյամս,
Առ յակմարա յալուխա, քանչչա սայշունուս,
Շյօգչաթսենա տապու յալուխուս մբյութրուս յամս.

ნათელი ბობოშაძე-ლემბაპა

რამეთუ გშობე

ამ დღეს აილანდა მყინვარწვერზე თურმე აჩრდილი...
...და მოხუცმა ვერ ილოცა იმ დილით...
ღვთისმშობელს ამ დღეს მიესვენა იესო მკერდზე...
შოვი მოიცვა ავმა დუმილმა,
როცა დაისი წვებოდა ქედზე...
თურმე მყინვარს რახანია უტირნია,
გულისპირზე მალვით ცრემლი ეღვრებოდა;
ვაი, მყინვარს კლდეზე ფეხი დასცდენია,
მლეგად მღვრიე ნიალვარი წამოსულა...
და აჩრდილი ისევ იდგა უბრად...
მერე ხელი ლოცვად აღუპყრია,
თუმცა ჯანღმა გადაფარა ურცხვად!
ო, ეს ბედისწერა დაუნდობელი,
კაცისგან მუდამ უეჭვო მზერა -
შოვში გოდება მოღელვებული.
ლაბირინთიდან მოთქმა ისმის საწყალობელი..
, „ვაი, ძუძუთა ჩემთა, რამეთუ გზარდე“...
ლაზი ოსტატის დედა ტირის მოჩქარე გზაზე.
გლოვა შოვისა სულ სხვანაირია,
გოდება გულის მომკვლელი.
ეძებენ... ეძებენ... უხმობენ უქმად...
„ვაი, ბაგეთა ჩემთა“, „გიძახოდი და არ გამეც ხმაი!“
შოვის გლოვა ზღვა ცრემლებად ყველამ ვიტიეთ,
„ვაი, თვალთა ჩემთა, რამეთუ გიტირე“(თ)...

მერამდენედ?

ჯერ გულ გამაგილეს, მთაო,
მემრე მაგითხარეს ძირი,
კალაპოტ გიცვალეს, წყალო,
შენაც მაგედავეს წილი.

სხოგან გადაგადეს ურჩად,
მკერდზე დაგაყარეს მიწა,
ქოხნი დაგაშენეს ურცხვად,
დუმილით ითმინე დიდხანს.

ფესვი მოგითხარეს, ტყეო,
გჩეხეს, უმოწყალოდ გყიდეს,
საუკუნოვანო ხეო,
შენაც უნამუსოდ გზიდეს.

თმენა ბევრი იცი, მთაო,
მაგრამ გაჯავრება მეტი,
ისეთას იქამ კე ბრაზით,
რომ კაცთ დაგვახვიო რეტი.

ჯერ გულ გამაგილეს, მთაო,
მემრე მაგითხარეს ძირი,
ახლა შენი ბრაზის შედეგს,
მთელი საქართველო ტირის.

უდანაშაულო მაგყვა,
ხელში მერამდენე შვილი,
ვინაც გაგაჯავრა მას კი,
თურმე მშვიდი ჰქონდა ძილი.

მერამდენედ ვიმკით ნათესა,
ვისაც ნამუსი აქვ მწირი?
და ერთეულების ჯიბე
მერამდენედ დაჯდეს ძვირი?

გული გამოგილეს, მთებო,
ურცხვად მაგითხარეს მკერდი,
შენაც შამაგვწყერი ერთობ,
ადრე ჩვენთან ერთად მღერდი.

მსხვერპლად მერამდენე შვილი,
უნდა შაენიროს მავანთ?
მემრე დავჯდებით და ვტირით,
ლამის გარდაცვლილებს ძალად.

ან რა გული გვიძლებს, მთებო,
ანდა მზის ქვეშ როგორ დავალთ,
როცა გარდაცვლილთაც ვერ ვცნობთ,
გლოვისაც დავკარგეთ ძალა.

შავად შაფერილი შოვის,
გლოვად დაცემულა მთები,
კრავად შანირულო შვილნო,
გულში ჩაგიხუტებთ ღმერთი.

ეს მთკიცა პოვი

ცრემლის ტევრებად
ჩამოცურდა ნისლები
ცაზე.....
მოვარდნილ ღვარცოფს
ველარ იკავებს
მიწის სიავე.
ისმის გოდება.....
შოვის მთის ძირში შეწყდა სიცოცხლე.
რატომ, უფალო!?
მე ხომ სიცოცხლე,
სიცოცხლისთვის ლმერთად ვიწამე.
ო, საქართველოვ!
რად ამატირე,
რად ვერ მიწამლე,
ცოდვილთ ტალახში
ჩაიფერფლა,
რაც ვერ ვიწამე.
მთებს შევეხიზნე,
სიკვდილ-სიცოცხლის
გზაგასაყართან,
ვერ შეგაშველე,
ვერ დაგიფარე,
მსხვერპლად
გიწამე და
ცრემლის ღვარცოფად
ჩამოვეშვი ცოდვილთ
მიწაზე.

მზის ბუმბუჩის

შოვის ტრაგედია

შავი ნისლებია ფარდად დაფენილი,
შავია, - სიმწვანის მძოვი,
შავ ღრუბელს დაუფარავს, შავად დაფერილი,
ეს მთები ამაყი შოვის.

რაჭას ტკივილი აქეს, თალზი დაუხურავს,
კვნესის საქართველო, კვნესის!
კვლავაც დაკარგული შვილების ძებნაში,
კვლავაც ლტოლვილები გზებში.

ცრემლი მოსდებია რაჭის მთებს მქუხარეს,
იხრჩობა საქართველო ცრემლში,
კვლავაც გვემატება დედები მწუხარე,
კვლავაც გლოვა არის ჩვენში.

უფალო, დაგვამშვიდე, სიმშვიდე გვალირსე,
ჩვენც ამოგვასუნთქე შვებით!
ამდენი ტკივილით გული გაილა,
გვალირსე შეშრობა ცრემლის!

შოვა... შოვა...

შოვაში ჩამოწვა შავი ღრუბელი,
ისევ აპნელებს ნათელ მზის სხივებს,
ისევ ატირა სული ქართველის,
ისევ ეძებენ დაკარგულ შვილებს.

ეს რა ცრემლები გვადინე, ღმერთო,
ღვარცოფმა შთანთქა შოვის ყოველი,
არც უფიქრია სიმწარე ხალხის,
ასე უგულოდ მოხნა სოფელი.

ნეტავ, სანამდე ეს სისასტიკე
არვინ არ არის აქ გამკითხველი,
ბოროტებამაც ფრთები გაშალა,
ვერ დავიცავით ჩვენი შვილები.

და ამ ღვარცოფში ერთი ეული,
შიშველ ხელებით ტალახში ჩადგა,
გულდადუღრული დაეძებს ირგვლივ,
თავის საკუთარ, ერთადერთ ძმასა.

ღმერთო, გვაკმარე ეს სისასტიკე,
გადაგვაფარე შენდობის კალთა,
ვიცი, რაც ვთესეთ, იგივეს ვიმკით,
უღმერთოების ვიგემეთ ძალა.

გოვი

მთებმა დაიწყეს ჩამოშლა,
ველზე ბალახი ხმება,
ელვა-ქუხილი მძვინვარებს,
თვალზე ცრემლები შრება,
დილა იწყება დარდით და
მზე ცის კამარას წვება,
ღამით ბურუსი მთვარეც კი
საშიშროებას ხედავს.
ველარ გავიგეთ ყოფა და
ველარ ვიგემეთ სითბო,
ყველა ყველასა მოძღვრავს და
მაინც მზაკვარზე ვფიქრობთ.
ფიქრი მიფრინავს სადღაც და
ველარ ვუჩვენეთ კვალი,
ველარ გავიგეთ რა ვქნათ და
სად ვპოვოთ სამართალი.
მთები იწყებენ ნგრევას და
ქვა დაიწყებსო ღალადს,
უფალო, ერთი შენა ხარ,
ვინც ამ ყველაფერს ნახავს...
დიდება შენ, ჩემო ღმერთო,
შენი გვიფარავს ძალა,
ღმერთო, გვიშველე ჩვენ რამე,
ღმერთო, შეგვაშველე კალთა...

მხრებჩამოყრილი დგანა მთები!

მხრებჩამოყრილი დგანა მთები, მთები ალმასის,
 ტირიან სიტყვით ძველქართულით, სულხან-საბასი,
 კიდევ რამდენი ჩაიმარხოს უნდა ქართველი,
 ნუთუ არ გყოფნის, ჩემო მიწავ, მსხვერპლი ამდენი?!.
 მთები დამარხულ ჩვენს საგანძურს, ქართველთ, ტირიან,
 საჯიშე ბიჭებს, დალის ლამაზს, კოხტას, პირმზიანს,
 ტირიან მთები, მოუხდიათ თეთრი ქუდები,
 რატომ ვერ ძლება ნეტავ შვილი ჩვენი უძლები?!
 მგლოვიარენი მუხლზე ხელებდაწყობილები,
 თავს მწუხარებით დაბლა ხრიან შავი ნისლები.

ეჰ, დედამიწა!

შენ იმოსები, დედამიწავ,
 ისევე თალხით,
 ტკივილს ტკივილი ემატება,
 ძველსა ვცვლით ახლით?!
 ეს მერამდენედ უნდა დავცხოთ
 გაბზარულ ზარებს,
 ეს მერამდენედ ვწამლობთ უკვე
 ჩვენს გულზე ბზარებს!
 ანგელოზებო, ნეტავ საით მიეშურებით,
 არ დაწურულა ჯერაც მწვანე
 ბუდეშურები,

შესანდობარი ვინ უნდა თქვას,
ნეტავ რა ღვინით,
ღვინო არის თუ ჩანურული ჭიქაში სისხლი?!
კვლავ შეუკერე, დედამიწავ,
შენს შვილებს ჩოხა,
მოგვართვი ქვების, კენჭების და
ღვარცოფის ხონჩა
და გაგვიშალე მოზელილი
ტალაბის სუფრა,
შემოვსხდომივართ ახლა სუფრას
ძელკაცნი უბრალ.
ეჱ, დედამიწავ, კი არ ბრუნავ,
თითქოს გრიალებ,
გვიგსებ სევდით და დედის ცრემლით
ვერცხლის ფიალებს,
ჯერ არა მწიფან ზვრებში მწვანე
ბუდეშურები,
სანამ დავწურავთ, საფლავთ გათხრას
რად ეშურები?!
შემოსცხეთ ზარებს, დაირწევა
მცხეთაც, ტანძიაც,
დგას გლოვის ზარი, დარდებია,
რაც გაგვაჩინია...
და გავაყოლოთ უფლის შვილებს
მდუღარე ცრემლი,
დედა მარიამ, მათ თავისთან
ზეცაში ელით.

აღარ მენახოს!

წყალი შემასვი რა ჭიდან?
წყალი იყო თუ მაჭარი,
დადუღდა, სისხლი გამივსო,
წითელი შინდის დგას ჯარი.
დოქის ტუჩს ტუჩი მივადე,
მუჯერეთული, ხვანჭკარა,
შევსვი და ღმერთი ვადიდე,
მზე ლამაზი და თაკარა.
რამ მოგიყვანა, ვენახო,
თვალში სიცოცხლედ მევსები,
აღარ მენახოს, რაჭაო,
მე შენი დანაკვნესები.

სამძიმელი

გისამძიმრებ, საქართველო!
ბედკრულო და ცრემლის მფრქვევო!
რად გაგვიწყერ, მყინვარო, და
მეწყერი მოგვივლინეო...
იქნებ ცუდად შეგეხნენ და
იქნებ ვერც შენ გაუძელო!
არ გაგვირჩო ქართველები!
ღმერთო, ღმერთო, დაგვინდეო!
შეწირული წმინდა სულნი!
ზვარაკებად მიიღეო?!
უკანასკნელი მსხვერპლი ხომ
შენ ხარ სრული სიწმინდეო!
აგვარიდე განსაცდელი,
ლოცვისაკენ გვიბიძგეო!
სწორი ცხოვრება მოგვმადლე
და გონების სიწმინდეო!
ბოროტი გავეშებულა,
უფსკრულისკენ მიმართეო!
ლოცვამ და წმინდა ცხოვრებამ!
გადაწონოს სიბილწეო!
თვალი სწორად ახელილი,
აზრიანი სიმშვიდეო!
ჩვენივე ნებით მოწეული
თავს დაგვატყდა სიმძიმეო!
ლვთისმშობელო, ისევ უფალს
შეავედრე საქართველო!
თუ არა, შენით გადარჩენა,
როგორ შევძლოთ, გვასწავლეო!

სული უკვდავია

მოვარდა ღვარცოფი,
ხალხიც გაიტაცა...
ოჳ, რა საძაგელი
წყევლაა დამდგარი;
...და როგორ გინდა ეს,
რომ გაიაზრო?
როდესაც საშველი
არსაით არ არი!
ველური სტიქია,
თითქოს და შეგბოჭავს,
საით მიგაქანებს,
ფიქრსაც კი არ გაცლის,
ვაიმე, დედაო;
ნეტავ რა ხდებაო!
ფეხქევეშ მიწასაც კი
უცებ გამოგაცლის.

თავზარი დაეცა,
ჩემს შვილსო რა ეცვა,
ნეტავ სად მოუსწრო?
გაიქა? გაჩერდა?
დედა დგას ...გაპყურებს
მაშველთა იმედად
ოლონდაც გამოჩნდეს...
თავსაც იმხნევებდა...
დღეები ლოდინის...
გული დაიფერფლა!
როგორ შეეგუოს
იმედი მომკვდარა;
სიტყვები ნუგეშის
ფუჭი რომ გამხდარა!

სჯობია დადუმდე,
და თქვაო არცა რა!
ს უ ლ ი უკვდავია,
ღმერთის მოიმედე,
უკვალოდ არავინ
არ არის გამქრალი!
დედა შეიცოდეთ...
შვილისთვის მლოცველი!
მას, ცოცხლად დარჩენილს,
ტვირთი აქვს ამგვარი...
თავის შვილის სული
უფალს გამოსთხოვოს;
ცოდვები შეუნდოს,
ევეფროს, საწყალი...
ღმერთს ყველა უყვარს,
ვის რით შეაგონებს;
უფლისკენ მიმავალს
აჩვენოს გზა-კვალი!
ამბობენ, ზოგჯერო,
შვილმკვდარი დედისაც,
სული გადარჩება...
ღმერთისგან გამდგარი!
ისე... უმიზეზოდ
არაფერი ხდება,
თმის ღერიც, თავისით...
არ ძვრება თავიდან!
ცხოვრება გრძელდება...
მაგრამ ვისთვის, როგორ?
და ჯვარს გოლგოთაზე,
თავადვე აიტანს!

ტალახის ცრემლები

ვინმეს თუ გინახავთ ტალახის ცრემლები...
ცრემლებში იფლობა გული და გონი.
ბიჭებო, ეგება მიასწროთ, უშველოთ,
იქნებ ცოცხალია, ტყეშია მგონი...
დაკარგულ ძმას ეძებს, დაკარგულ შვილს ეძებს,
იქნებ გადაურჩა ღვარცოფს და მეწყერს.
და რა ეშველებათ...
და რა ეშველებათ,
ლამით თვალდავსებულ ბავშვებს და ვეძებთ...
ვინ იცის, იქნება მეწყერმა იშვილა;
ცას ჩამოაფლითა პერანგი მოვის...
ტალახის ცრემლებით, უსასო ცრემლებით...
ტალახის ცრემლებით ქვითინებს შოვი...

სოფო ვახაციძე

მთაივა ვერა და შოვის ტრაგედია

ცას მოაქეს ნაღვლით ღრუბელი...
დარდობს... ცა ძლიერ შავია...
როცა არ ველით და ვხარობთ,
ბუნება მაშინ შმაგია...

კაცმა რა იცის, თუ ვერ გრძნობს,
ბუნების სმას და ძახილსა...
მაღლა ღმერთს თუკი ვივიწყებთ,
ვერას გავიგებთ ცოდვისას...

მოგონებაა სოფელი,
დღეს ხარ და ხვალ კი წაგიყვანს...
წაგლეკავს, დარდით აღგავსებს,
ჩაგმარხავს - სადღაც ჩაგიტანს...

და მერე ისევ ამოვა,
ცას გაეკვრება ნათელი...
მოგონებებში დარჩება,
სევდა, წუხილი, ნაღველი...

მტკიცა შოვი

მერამდენედ აგვატირე, ზეცავ...
მერამდენედ ჩამოგვწმინდე ცრემლი...
ეს გული რომ მაინც კიდევ ფეთქავს,
შოვის დარდმა ჩამომტება ფრთები...
რა ცოდვა გვჭირს, რა ცოდვა გვჭრის ასე...
ობლდებოდეს, ღმერთო, ქვეყნის ფერი,
ბნელდებოდეს დღის სინათლე ისე,
რომ პატრონი არსად ჩანდეს - არვინ...
რა ცოდვა გვჭირს, ფიქრებს ვებრძვი, ღმერთო...
დაბნელებულ გულს მიწყალებს სევდა,
ერთხელ კიდევ შეგვიწყალე, ღმერთო,
გვაკმარე ეს წუხილი და სევდა...

ვდუმვარ...

ვდუმვარ...ფოთლები შრიალს აპირებს...
ხის ტოტზე ჩიტი ზის გაუნძრევლად...
ღმერთო, ამდენი მსხვერპლი და შიში,
რისთვის გვარგუნე?!.. - ჩვენს საფიქრებლად?!..
გამოიდარა - მას შემდეგ, როცა
და ცისარტყელამ გამოანათა...
ნუთუ ნიშანი მოგვეც, უფალო,
ჩვენ მიწიერებს დასაფიქრებლად...
მთამ ჩამორეცხა ცრემლები შოვის
და იქცა მინა, ვით შმაგი მხეცი
და ჩვენს მიწაზე სიცოცხლე თურმე,
ნამია მხოლოდ - სხვა არაფერი...
ვდუმვარ... ფოთლები შრიალს აპირებს...
ხის ტოტზე ჩიტი ზის გაუნძრევლად...
ღმერთო, ამდენი მსხვერპლი და შიში,
რისთვის გვარგუნე?!.. - ჩვენს საფიქრებლად?!

ხათუნა ელიაშვილი

მტკიბა ჰ ო ვ ი!

ტალახი გლოვის
ღალადი ქვათა,
მოვარდა, როგორც
სიბრაზე მთათა,
სიცოცხლის ბოლი
ავარდა ცათა,
ტალახში ცრემლი
ალარა ჩანდა,
და გაქრა მოლი...
სუნთქვაც კი ჩაქრა,
სიცოცხლის ნიშა
ტალახმა შთანთქა,
აქ არემარე,
ნაომარს ჰერდა
მიწით და წყალით
ომი გაჩაღდა,
სიბრაზის ძალამ
არია მდელო,
სიცოცხლეც იყო
პანია ღერო,
გაქრა, წავიდა
ზეცისკენ სული,
სიკვდილო, მითხარ: -
არა გაქვს გული?!

(აქ - მამას, იქ - დედასთან
სამ ტკბილ ანგელოზს)

ეძებს და ვაი, ვერ უპოვია...
რამდენ დღე-ლამეს შეიძლებს ნეტავ?!.
იპოვა, მაგრამ ვაი, ამ პოვნას,
დატოვეს მამა და გაჰყვნენ დედას!..

გარდაცვლილიც ხომ გმირთა გმირნი ხართ!..

საუკუნენი ტანჯვა-ვაებით
მოდის სამშობლო განაწამები.
მოდის და მოაქვს რნმენა, იმედი -
ღვთიური მადლი ურიცხვ-ულევი...
ვინ იცის, იტყვის, რამდენი კაცის
ნმინდა სისხლია მინად ჩალვრილი?
ჰოდა, ქართველნო, ამაზე მეტი განძი,
სიმდიდრე გინახავთ, მეტყვით?
რამდენი ცრემლი, გლოვა-გოდება გიგრძნია
ურიცხვ, დიდრონ ლოდებად?
მტერ-ურდოთ რისხვა არა გკმარია,
სტიქიაც გვიძლვნის უგვან არიას!..
მინად ცხოვრება ერთი წამია,
მზის პირნაბანი ცვარი, ნამია...
„მწყემსი კეთილის“ რჩეულ შვილია,

სიცოცხლეშივე გმირთა გმირია!..
უფლით ხელქმნილი მამული ჩვენი,
გამორჩეული, ღვთისმშობლის ხვედრი,
ქართველთ განძია, ერის სიმდიდრე
მიმორახტული ამ მიწის პირზე!
მდინარე-ჩანჩქერთ მლერა-რაკრაკი,
ფრიალო კლდეზე ჩქერთა ხარხარი,
თეთრწვერა მთათა ურიცხვი ჯარი,
დარაჯად მდგარნი ქართველი კაცის!..
გაჭედილ ტყეთა ბუბუნ-ბურბური
და რუ-წყაროთა ტკბილი ბუყბუყი,
ფრინველთ გალობა, ცხოველთ ფუსფუსი
ზეცად შვიდფერას ფერით კუსკუსი...
მზეო, დედაო ამ სამყაროსი;
მთვარევ, მშობელო დიდ საბადოსი,
თქვენი წყალობით ღმერთმა გვიბოძა
უზრუნველ ყოფა, შვილი გვიწოდა!..
მაგრამ მამული, თვალდანამული
რატომ დგას ისევ კვლავ დაჩაგრული?!..
შოვის ტკივილი იყო საჭირო?
უფალი ამ დროს ჩვენთან არ იყო?!..
...მტკივა და მეწვის მთელი სხული,
შოვის გმირები, უფლის რჩეულნი...
კოლხ-იბერთ გენის სიკეთისათვის
ხარკი გაიღეთ! თამამად გეტყვით...
...მსუბუქი იყოს ქართული მიწა,
ჩემო ძვირფასნო, აბა, რა გითხრათ?!.
მართალთ სამყაროს დიდი ოჯახი
გაითავისეთ, შედით ომახით!..
ერისთვის კვდომა, თავის გაწირვა
უფალში გილირთ! სხვა რაღა გითხრათ?..
მიწიერ ყოფის დიდი გამოცდა

შეიძელით და ღმერთმაც დაგლოცათ!..
ბრალი ჩემი, რომ ვარ უხილავი,
მიწისა მღილი, მთლად უხიაგი...
...სიცოცხლე ფასობს კარგი კაცობით,
იმ ქვეყნად ნასვლით რჩები ნაცნობი!
უღირს-უგვანი აქაც და იქაც
მძიმე პარგია, ამძიმებს მიწას!..
„მწყემსი კეთილის“ რჩეულ შეილნი ხართ,
გარდაცვლილნიც ხომ გმირთა გმირნი ხართ!..

მოვი

კატინვერას დათოვლილ მთებს თვალზე ცრემლი მოსდგომია,
ჰოდა, თოვლი გაყინული მთათ ფერდთ მკერდზე მოჰკრობია...
ოჳ, დაალტო დედამიწა, მოურლვია მყარი ტანი
და ლამაზ შოვს თავს დაატყდა ცოდვა დიდი, ვხედავთ თვალით!..

- ბუბუშერა ადიდდაო, წალეკაო ყველაფერი!..
ტირის, გლოვობს მთელი რაჭა; ღმერთო, რა გცოდეთ ასეთი?!
გადირია, ჭკვას გადვიდა ეს ჭანჭახი ისეც მხეცი,
ვაი, ღმერთო, რად მაჩვენე მრისხანე და საშინელი!..

ათამაშა: ხიდი, ლოდი, ხშირი ტევრი ნაფოტ-ნაფოტ,
მანქანებზე აღარ ვამბობ; სული მითრთის, სიკვდილს ვნატრობ!
ღმერთო, ჩემო სანეტარო, რად მაჩვენე ცოდვა დიდი?
ნუთუ გვაკლდა ერს, ბერს მსხვერპლი? მცირედნი ვართ, კარგად იცი!

ცრემლი თვალზე აღარ შრება, „აირია მონასტერი“!
ნუთუ ერი, კოლხ-იბერთა შენთვის გახდა მოსაწყენი?
დამილოცე იმიერი, ის საუფლო წმინდათნმინდა.
ეჳ, საბრალოთ ზავი დადეს ღმერთთან, სანუგეშოდ ჩვენდა...

საქართველოს ყველა შვილი ვლოცულობთ, ვილოცებთ თქვენთვის,
თქვენც ილოცეთ ამიერში, თქვენ ძალა გაქვთ უფალ ღმერთში!..
გგლოვობთ შოვი, გგლოვობთ რაჭა, გგლოვობთ მთელი საქართველო,
რჩეულნი ხართ და გმირები, სამყაროში სანაქებო!..

კატინვერას დათოვლილ მთებს თვალზე ცრემლი მოსდგომია,
ჰოდა, თოვლი გაყინული მთათ ფერდს მკერდზე მოჰკრობია...
შენ, მამულო, დატანჯულო, „სად გყავს შვილი დასაკარგი“?
ვაი, რამდენს უძლებს გული! წმინდა, წრფელი, არა ფარსი!..

გთკივა...

მთებმა ილმუვლეს, რისხვით, ღრიალით,
ზეცა ატირდა ცოდვის თვალებით,
ბედნიერების ფერი გამუქდა,
ჩაქრა სხივები მზისა ალების.

კრთოდა სიცოცხლე ბედნიერ ხიბლით,
იღიმებოდა ჩვილი ზეწარში,
თუმც ხარხარებდა სატანა ურჩი,
ჩვილი გაფრინდა ანგელოზთ ცაში.

ქარმა დაქროლა უეცრად შიშით,
ქროდა ტკივილით აღელვებული,
ზეცად, სამოთხის კარ იყო ღია,
ლოცვად გალობდა ღვთიურ კრებული.

ლამე სევდისფერ, შავად დაბნელდა,
არღარა იყო ცოცხალ ხილული,
მოასკდა ცრემლად, სიკვდილ-მდინარე,
ხსოვნა ჩამარხა, გახდა ყინული.

გადაიშალა დღისა ფურცელი,
გულსა ტკივილად დაგვრჩა გოდებად,
ვლვენთავთ სანთლებთან ცრემლებს მოწოლილს,
ჭრილობად ვიტოვთ ჩვენ მოგონებას.

ვდგავართ გოდებად ღვთის საკურთხეველს,
ვითხოვთ შენდობას, როდემდის ნეტა?!
უფალო ღმერთო... დედაო ღვთისავ!
საწუთომ ასე რად გაგვიმეტა?!

შისა ცნობაში

დაგუბული პოვი...

მყინვარმა დნობა დაიწყო,
ვერ გავთვალეთ ჩვენ შედეგი,
თავზე დაგვექცა შოვი,
ღმერთო, არ იყოს შემდეგი...
ამ ტრაგედიამ ქვეყნა,
ოჯახი შეაზანზარა,
უფალო, გთხოვ, მოგვიტევე,
ეს განსაცდელი გთხოვ, კმარა?!
ეს შენ ხარ ჩვენი დარღიც და
ცრემლი უშრობი ჩვენ თვალზე,
მაჯისცემა ხარ ქვეყნის და
ან შოვი, ტკივილი ერის...
ყოფნა სჯობდა, თუ არყოფნა,
გამომეცვალა ხმაც, ფერიც,
ღმერთო, სამშობლო გვიცოცხლე,
ღმერთო, მოგვეცი საშველი!
შოვი ყველას ტკივილია,
სულს რომ ძლიერ მიკორტნის,
ნიაღვრებად წამოსული,
ახლა შოვი დაგუბული...

ტკივილი მახრწოპს

განა ის ხელები მტკივა,
ასე რომ შეახმა ტალახს,
განა მე ის ტანჯვა მტკივა,
ძლივს რომ გადალახა ტანმა...
არა, სხვა ტკივილი მახრწოპს,
მძარცვავს ტკივილები გულის,
გესმით? მე ის ხმები მტკივა...
მნარედ რომ ჩამესმის ყურში..
მტკივა პატარების შიში,
ვაი, მიშველეო, დედა!
მომკლავს იმ ძახილის ვიში,
შვილს რომ ვერ პოულობს დედა...
სირცხვილს ვერ ვუძებნი ადგილს,
მეწვის ტკივილისგან ხორცი,
ვაი, გაშავებულ მანდილს,
დედას დადუმებულს ცოდვით...
ზეცა ჩამოიქცა იმ დღეს,
მეწყრად გადაიქცა მთები,
ვაი, შენს მოტირალ დედას,
როგორ გაუშავდა წლები...
რა ჰქინას მოტირალმა მამამ,
გული დასეტყვილა დარდით,
ვაი, ცოცხალი რომ დარჩა,
მაგრამ ლანდივით რომ დადის.
მითხარ, იმ ოჯახმა რა ქნას,
თითქმის არავინ რომ დარჩა,
ერთად დაიკარგა ყველა,

ყველა ტალახში რომ ჩარჩა...
პასუხს არავისგან ველით,
ანდა რა აზრი აქვს ლოდინს,
როცა თავს გაურბის ყველა,
როცა ხალხთან არვინ მოდის.
ტკივილს არ ანელებს გლოვა,
რეკენ ცრემლმორეულ ზარებს...
მოვა, განკითხვის დღე მოვა,
ყველას შემოუღებს კარებს...
ახლაც დარდით კვდება შოვი,
ფიჭვნარს ფისად მოდის ცრემლი,
ვაი, ამ ტანჯვას და ტკივილს,
ბევრი დღემდეც რომ ვერ ხვდებით.
განა აღარავინ ვდარდობთ?
ყველას ის საღამო გვტკივა,
მეწყრად რომ გადიქცა ზეცა,
ცოცხლად რომ ჩაყლაპა მიწამ.

80 მთკივა მოვი

რამდენჯერ უნდა მოკვდე, საქართველო,
რამდენჯერ დაგეკოდოს გული,
მთელი ღამე თვალზე ცრემლ-მდინარეს,
სულ არ გეკარება რული.
ან რა დაგაძინებს, ჩემო საქართველო,
როცა ვერ პოულობ შვილებს,
მთაში გაგეფანტნენ შოვის მთაში,
არსად უნახავთო გზირებს...
შავი ნიალვარი მთიდან წამოსული,
ლენდა ხეებსა და ტყეებს,
შენ კი შვილებს ეძებ შენს უბეში გაზრდილს,

რომ გადაურჩინო დედებს...
ცრემლად წვიმა დაგდის
შენს თბილ გულისპირზე,
არა, არ ჩერდება წამით,
სად ხართ, საქართველოს შვილნო, გაფანტულნო,
გთხოვთ, ხმა მოგვაწვდინოთ წამით.
ღმერთო, შეგვეწიე, ღმერთო, მოგვიტევე,
შენი ღალატი და რწმენა,
მძიმე განსაცდელი კარზე მოგვდგომია,
მხოლოდ შენგან ველით შველას.
შვილებს გევედრებით,
ხელი შეაშველე,
კმარა ძაძიანი ცრემლი,
ღმერთო, შენ უშველე,
შვილნი დაუბრუნე
დედას მუხლდაჩოქილს თმენით.
ჩემთ საქართველოვ, ძალა მოიკრიბე,
ისევ რომ წამოდგე მყარად,
შვილნი შენს უბეში ღალად გამოზრდილი,
გულში ჩაიკარი მაგრად.

მტკივა შოვი

დედა ღმერთო, მოდი ჩემთან,
იქნებ ხმაც კი მოგაწვდინო,
გულზე ყური დამადევი,
ბოლო თხოვნა შეისმინო.
დამეხმარე მიწადეცეულს,
სანამ გული ისევ თბილობს,
სანამ მიწა ქვად არ იქცა,
ვინაც მეძებს, რომ მიხილოს...

უპატრონო მკვდრად არ დავრჩე,
ეშმაკის და ლაფის კერძად,
ღმერთო ჩემო, ეს რა მიყავ,
ეს რა ბედი დამეწერა.
რაჭას ცრემლი არ უშრება,
ჩამოჩეხა ლამემ ტანი,
სულის ტკივილს ვეღარ უძლებს,
ეს რა ნახა თავის თვალით.
დედა შვილებს ვერ პოულობს,
ცრემლად დნება ტანჯვით მამა,
ღმერთო ჩემო, გეყოს ცოდვა,
ასე შენც რამ გაგამნარა...
ნუ დაანგრევ ლალ ოჯახებს,
ნაფერებს და ნასათუთებს,
ნუ შეფუთავ ისევ ძაძში,
საქართველოს წარმტაც კუთხეს.
მართალია, იმას ვიმკით,
წლების რიგში რაც კი ვთესეთ,
ეს ნაქარგი საქართველო,
რომ მივანდეთ ბოროტ ქლესებს.
დედამინაც გამოშიგნეს
გამოუღეს ღრუში გულიც,
ტკივილისგან დაიმანქა
მეწყერს შეავედრა სული.
ამ ტკივილში ჩაიყოლა,
ვისაც მიაწვდინა ხელი,
ვისაც ბრალი მიუძლოდა
ყველამ დაიფერთხა ხელი...
დაგვეხმარე კვლავ, უფალო,
ვიცი, შენც გელავს გულის დარდი,
ჩვენ ისედაც ცოტა დავრჩით,
არ გვყავს შვილი დასაკარგი.
ვიცი, ტანჯვას გადავიტანთ,

ცრემლსაც შევიმშრალებთ ნელა,
ამ ადგილას კვლავ ამოვა
მრავალფერი ცისარტყელა.

ტკივილი სულში დაპორგავს

არ შემიძლია ვწერო რითმები,
გახარებული გულის კარნახით,
როცა ტკივილი სულში დაბორგავს,
როგორ მოვქარგო ფიქრი მაქმანით.

ისევ ტკივილი, ისევ წუხილი,
ფიქრები გულში ცრემლად იღვრება,
არ ყოფნის ტკივილს გაფერმკრთალება,
წუხილს ვერ შეცვლის გადავიწყება...

აზრებით ისევ შოვში დავდივარ,
დაიბანაკა აზრმა მეწყერში,
მე მომიტევეთ, თუ ვერ შევძელი,
ლექსი მეწერა მზესთან შეხებით...

როცა გოდება ისმის მიწიდან,
დედას მოუხმობს პატარა სული,
დღეები ჭირთა თმენას ვერ უძლებს,
ტკივილს არ უჩანს ჯერ დასასრული...

როგორ იმდეროს მითხარით, გულმა,
როცა ჩვენს ცაზე მწუხრის ბინდია,
ფრინველთ შეწყვიტეს ცაში გალობა,
დაღონებული ტირის ნიბლიაც...

მე მაპატიეთ, თუ ვერ დავწერე,
სიცოცხლით სავსე დილის პორტრეტი,
ტკივილი მზარავს მიწის გოდების,
ჯერ მე დედა ვარ - მერე პოეტი.

ღმერთო, გვაკმარე გლოვის ზარები,
დედებს ნურასდროს ნუ გაამწარებ,
ნუ კლავ პატარას, ნუ სპობ სიცოცხლეს,
ნუ შლი მომავლის ნათელ ნაკვალევს.

არ შემიძლია ვწერო რითმები,
დღეს სიხარულით გაჯერებული,
როდის გინახავთ ხარობდეს ვინმე,
როს სიკადილი გვდევს ამხედრებული.

რამდენი ურმის გადაბრუნება,
მითხარ, როდემდე უნდა გამოგვრჩეს,
ხომ უნდა დადგეს ერთხელ საშველი,
მშვიდობის გზა ხომ უნდა გამოჩნდეს.

განვაჭის ზარები

განვაჭის ზარები რეკენ მწვერვალებზე,
ცრემლი დაედინა ტყის მწვანე ტატნობებს,
სატანა ხარხარებს, ტაშს უკრავს ეშმაკი,
დაგვიცინის ბოროტად, უკვირს, რა გვაგლოვებს.

შეირყა დედამინა ამდენი ცოდვისგან,
ტალახში ჩაიხრჩო მომავლის ბავშვობა,
არ უნდა გარჩევა ტყვილის და მართალის,
უფალო, გვაკმარე ტირილით დაშრობა.

ცამ პირი დაალო, წარლვნა მოგვივლინა,
მიწა განგვირისხდა, აგორდა, აზვირთდა,
შთანთქა უცოდველი პატარა სულები,
ცოდვები შენს წინაშე ასე გაგვიდიდდა?!

გაშავდა შოვის ზეცა, გუგუნებს ზარები,
შვილს დედა ეძებს და ვერ ჰპოვა ღვარცოფში,
მზეც გადაიკარგა, დაქრიან ქარები,
ბავშვი ჩაიკარგა ულმობელ ქაოსში.

დადუმდა ტყეები, გაშავდა ველები,
ტირიან დედები, ცრემლს ღვრიან მამები,
შენ ჩემო რაჭავ და შენ ჩემო რიონო,
დაგვაშვრე ტკივილით, შეგვმოსე ძაძებით...

ასეთი ტკივილით რამდენჯერ გვატკინე,
შვილები რამდენჯერ ჩაყლაპა მეწყერმა,
როდემდე მითხარით, სანამდე ცრემლები,
ბავშვები დაგვიხრჩო სამართლის შერჩევამ...

გუგუნებს ზარები, ცაში განგაშია,
ტალახში ამოსვრილან პატარა ხელები,
დასრულდა ბავშვობის ლამაზი ზლაპარი,
ტირიან დედები, არ შრება ცრემლები...

ლაფში ქარი არხევს ტალახის საქანელას,
სადაც გუშინ ლალი პატარა ქანაობდა,
ეშმაკმა ჩაიყოლა მისი ლალი სული,
სატანა უდარდელი ღვარცოფში ბანაობდა.

შეწყვიტე, უფალო, ამდენი ტკივილი,
შეწყვიტე შვილმკვდარი დედების გოდება...
ყველა შენთან მოვალთ მუხლს ჩოქვით სანთლებით.
ოლონდაც ეს ტკივილი ნუ განმეორდება.

ԱՆԱ ԿԻՌԵՏԱՅՈ

ՄՊԱԼՍ ՃԱԾՈԱՆ ՄԿՅԱՐԵԱՐ...

(Թեգո ցուցամշտութեան եսովնաս)

մկատատզուս միջեռ,
դամթնչելու,
րամճենու պրյեմլուս դամթնչեռ,
լողացեծու ցուլճածիարյուլու,
դաշնճուծելու եւզեծու.
նպարունից ցողու րոռմ մուգուս -
առ հիանացրաց, ացսուլու,
ցուրուլասազուտ եափուլաս,
պապահուսազուտ սահինոս.
...միջեփածոյս դաացցուանճա,
առ ցարութաւու, ցուլճու,
առ ցամծորու ցմենանս,
մյոլացնից առ ցաճանճունո.
առ մշենցուս սոյզարյուլուս եմա,
հիութեան ցորյենա,
ցուլյուրություլու,
առ դաշմուսեցրու ելլաճա,
առ դարհես ցուլճածիարյուլու.
տյետրու տավմալուտ զուբանուտ,
նայրտմեզուա ქարյեսա,
դեֆաս ռա ցութերատ,
րուտ մշեցմուտ:
մշեցմուտ միջես դա մտցարյեսա.
ո, ռա սանիարլուադ թրուալյեծս,
լողացեծու ատասնլուանո,

მზეც ნაადრევად ჩავიდა,
ამ ცოდვა-მადლის ტრიალში.
რაღა შენ გელოდებოდა:
შავი წყალი და ზიანი,
ან როგორ უნდა გეზიდა,
ზვავი ჩამოწყდა - ტიალი.
დალალებს გვარცხნის ნისლები,
მწუხარე - გულდარდიანი,
...მზე ჩავა, მაგდოს შეხვდები,
(ისიც შენსავით ლვთიანი).
ქარი გიტირებს,
მინდორიც,
ანგელოზები შვირალის,
იებით მოიქარგება:
ბუბა და სამაროვანი.
უფალს ძალიან უყვარხარ...
ზეცის კარს გიხსნის,
გინამლებს,
ეფერებოდი ბილიკებს,
ლოცავდი კაწარკუნურებს.
ისევ ნიაღვრად იდინებს
ცრემლი ჭანჭახის,
ბოყოს წყლის,
სავალ გზას გაგიადვილებს:
თედორწმინდა და
ჯერგომი....
„კლდემ გასძახა კლდესაო,
მეგი დარჩა ჩვენსაო,
მეგიმ გასძახა მთებსაო,
საყურა დამრჩა თქვენსაო“...

მიჩნა ვახშესვით

მოვი არ დაშრა...

არ დაშრა ამ ქვეყნის ცრემლები,
ღელესვით თანდათან დიდდება.
აგერ აქ დედა შვილს ვერ პოვნის,
ამ ცოდვით სამყარო იწვება.

აქ გუშინ წალკოტი ველები,
გამხდარან დედათა სატირლად.
დგას ყველგან სიკვდილის კედლები,
ხევებიც მოთქვამენ საშინლად.

გულცივნი გამხდარან ეს მთებიც,
მზეც ბრალობს ამ ქვეყნის ბედ-ილბალს.
ისევე შავებში დედები,
ცას ერთვის იმათი ცრემლის ზღვა.

შენ შეგთხოვ, უფალო, ვედრებით,
უწამლე შვილმკვდართ გულს ზეციდან.
ისმინე ცოდვილი მვედრებლის,
ეს თხოვნა თავმდაბლად ჩემიდან.

ავ მთაივა პოვი

სხვა სიცოცხლე და სხვა ამაღლება,
სხვა გაზაფხულთა მწუხრის ფერები,
სხვა ოცნებათა ამონათება,
სხვა ზარი, სხვა ხმა, სხვა სიმღერები.
სხვა ორთაბრძოლებს ვერვევი, ღმერთო,
სხვა ფერი გახდა სული მლოცველი.
სხვა ცისქვეშეთში მომხედე, ღმერთო,
სხვული მტკიგა მეწყრით მოშთენილს.
სხვა შემოდგომით მოვალ შენთანაც,
სხვა სიყვარულად მიწად მოვლენილს.
ჯერ ეს სიცოცხლე არც კი მესწავლა,
ყვავილს მივგავარ ძალით მოწყვეტილს.
სულ სხვა საწყისი და სულ სხვა ბოლო,
სხვა განგება და სულ სხვა ღმერთები,
ეწამე, სულო, ესაა მხოლოდ,
რითაც სამყაროს გზებს უერთდები...
და სულ ესაა, ეს ცა და მიწა
და ოცნებებით სავსე დღეები,
თქვენს მარადიულ და უკვდავ მიზნად,
დაუპყრობელი სიმაღლეები
და შენი უამი-მზის გზებს რომ ერთვის,
ვით უსაზღვრობის წამი მცირედი
და სულ ესაა და კიდევ ღმერთი,
როგორც ჯვარცმული სულის იმედი.

ლეი ზოჩინაშვილი

მე მტკიცა შოვი...

მე კი დღეს ისე მაწუხებს
რაღაც,
სულში წვიმები დამდიან
დარდად...
მანძილი ბევრად დიდია -
შორი -
ჩემი ტკივილი გამხდარა
შოვი!

ქვეყანა ჩვითი...

შოვი

ორად გაიყო ფიქრი, აზრები,
ორად გაიყო ქვეყანა ჩემი,
არ ვიცი, საით მივექანებით,
ან რას გვიმზადებს დღის ბოლოს ბედი...
მე ჩემი ქვეყნის მაღლვებს დღენი,
ამ ქვეყნის ფიქრით დამძიმდა მხრები,
მომნატრებია ბავშვობის წლები
და უდარდელი ცხოვრება ჩემი...
მხრები გამალე, ქვეყანავ ჩემო,
ნუ დაგიშვია ძლიერი ფრთები,
ცრემლი შეიშრე ლამაზ თვალებზე,
ხვალ უკეთესი დღე გათენდები...
ორად გაიყო ფიქრი, აზრები,
ორად გაიყო ქვეყანა ჩემი,
არ ვიცი, საით მივექანებით
ან რას გვიმზადებს დღის ბოლოს ბედი!

ՅՈՒՅՏ...

Ճաճակի՞լա յերտո զյուրպելո...
Ճշման գլու ովո,
աելա լամեա...

Ճա ժրելաժրովա
Իշեն եղրջոնո
յալի սուրպացիոտ
ուսեզ սավսեա...
Վահեր սայուտար սոնդուսս -
Մրցեցենու!..
մյ ռա մանապրեծ՞!..
Սագլաւ ծացմշա մու!..
Սագլաւ, զոլաւ պրեմլոտ օժնեծ,
դեգաս յո -
տալիս յածա ապաւու!..

Ես նատելո ցա գլուզոտ ծնելացեծա,
Ցուլցացլեջոլո
Սուլո մազու!..

Ես սայարտացելո
Ցլուզոծ ծեղյուրով,
մյ ռա մացոնեծ,
ռա մոխարու?!

Ցայմարյ քանչազա,
Պրեմլո,
Տուրպացոլո,
Թիյ ճացանախե,
դեգա-մարում!

31010 სასახლის მიმოწერა

გლოვის დღეები ულიმიტოა...
ვერ გადავშალე ჯერ ეს ფურცელი,
ვერ ამოვშალე გლოვა გონიდან,
შავ ზოლად გასდევს ზმანება ვრცელი,
ვითარც ზარები მცემს თავს გონგი და
ვერ იყვავილა ჩვენში ხარებამ,
გული დაცლილი ულხინო რტოა,
ულელში ჯვარცმა მუდმ რად ება,
მკათათვე როა? დედალვთის როა?!
დედაო ლვთისა, დედა მარიამ,
არა ბლაოდეს შვლის ნუკრი მთაში,
ბულბული მღერდეს ვარდთა არიას,
არ გაუწვიმდეთ ბახალებს გზაში!

მთკივა მოვი

რაჭის მთებში ჩაკარგული,
მთის წალკოტი, მტკივა შოვი,
აგვისტოში მერამდენედ,
ირეკება ზარი გლოვის.

ტყე რომ გაჩეხეთ, მის ნაცვლად,
რას სთავაზობდით ბუნებას,
შვილებს რა უნდა უამბოთ,
რა ენა მოგიბრუნდებათ?!

ვაჟას სიტყვები გახსოვდეთ,
თუ არ ხარ კაცი მხდალია,
„ტყე შეუნახე შვილებსა,
მამა ხარ, შენი ვალია“!

გამოვლინდეთ

ფრთები გავშალე,
ცაში ავფრინდი,
მიწას დავხედე,
სულ მთლად გავგიუდი.
ყველა ჯუთხეში,
დენთის სუნია,
ცრემლია, გლოვაა
და ტირილია.
სადღაც მდინარემ გადარეულმა,
არც კი დაინდო, წინ რაც აღუდგა.
სადღაც მთა მოწყდა და მთელი მიწა,
სოფელს ზედ თავზე გადაატარა.
არვინ დაინდო,
დიდი, პატარა,
მიწის საბანი გადააფარა.
ღმერთო, შეგბედავ და მინდა გკითხო,
ასე სასტიკად ვისჯებით, რატომ?
ნუთუ დაგროვდა იმდენი ცოდვა,
ნუთუ ბოროტმა კეთილსა სძლია?
...და თუ ასეა მაშინ კი მართლაც,
მეორედ მოსვლა გარდუვალია.

თინა სახუბავა

რამდენჯერ მოვავდეთ?!

ნელა იღვიძებს შოვში ბუნება,
დაჰქრის სინაზით დილის ნიავი
და სასიმღეროდ გამზადებულა
მზე ყვითელგულა უხვსხივიანი.

მაღალი მთები ლოცავენ ზეცას,
ორბივით მზირალთ ცაც ეფერება,
დაბლა ლალადი მწვანე ჯეჯილთა
თბილ მიწის გულებს ზედ ეკერება.

ვინ იფიქრებდა? თურმე წალკოტში,
შავ ანაფორებს სატანა ქსოვდა...
მერე შუადღე მგლისფერში ჩაკლა,
მსგავსი სამყაროს ჯერ არ ახსოვდა.

არწივის გუნდმა შეჰეკივლა წამსვე,
ერთად მოვარდა სიკვდილის კევრი...
დიდს და პატარას შემოხვევია,
ცოტა გადარჩა, გაწირა ბევრი.

ნისლებს თქორივით ედება ყველგან,
ერევა წითლად ღვარცოფს ჭავლები
და ელვარებით ველარ ბრწყინავენ
ქვეშ მოყოლილი წმინდა თვალები.

ყველა სურვილი ერთად დამიწდა,
კმარა! სატანჯველს არ უჩანს ბოლო!
მე მუხლებმოყრილს უფალთან დღემდე
ამაზე ფიქრი შემომრჩა მხოლოდ!

მოვს

ვერ გავიღიმე გულლიად,
ტირილიც ვეღარ გავტედე.
ღამეს ვათენებ თვალლია.
აგვისტო, მოხველ რა ბედზე.

ვერ დავივიწყე ბუბა მთა
ჩამოშლილ-ჩამონგრეული.
რა სიტყვით უნდა აღწერო,
მამა რომ დარჩა ეული.

რომელი ერთი იტიროს,
ალბათ, გაუშრა ცრემლიო.
ტკივილებს ვერ მოიშორებს,
დრო რომც გავიდეს ბევრიო.

რა გააღიმებს გულლიად
ან რაღას არგებს ტირილი.
ივლის იმ ელდით ბოლომდე
სულის სასტიკი ტკივილით.

დავდივარ მთაში თუ ზღვაზე,
სოფელში ან თუ ქალაქში.
ვერ დავივიწყე შოვი და
სიცოცხლის მოკვლა ტალახში.

ՈՒՆԻՑԱԿԱ-ՈՒՆ ԿԱԽՈՎԱՑՅՈՅՈ

ԹՐՅՈ ՏԱԿԱԽԾՅԵԼՈՍ ՄԱՅՈՅՈՂՈ

...նյուել ჭանքաեմո տաշս օերիոծդա լվարցոցո մնյորալո, մոզուս ჭալյեծմո ზյունեծդա աժարո յարո, մնյութարյ դոլա տենդյեծոդա ցլոցուսա դարո, սուցուելոյ սոյզուուլս նեծդյեծոդա, բորոգնեն մտանո...

Կոգզուս մորյեցմո նպալս մուշյոնդա լամածո յալո, լամենատյզո ցոգզուոլոծդա პոյեցուս յնարո, ռա ցուլսակլացադ, սեցուանադ յանցեսուդա յարո... դակարցուլ ցեղդրյեծս դաստիորոդա գոտոլուտա չարո...

Նյուել ռաժամո նարյեծս րյուզա մնյութրուսա նարո, նուլուան մտյեծոտ մոգուոդա սոյզուուլո հյարո...

აღარც მზე იყო და აღარც...

შოვში დალუპულებს

ამოიკვნესა მიწამ ხმამალლა,
ამოაყოლა ცოდვა და მადლი,
უცებ ჩამოჰკურა მწერის ჟამმა და
გოჯა და გოჯა ჩამოწვა თალხი.

შავად მოზვავდა აგვისტოს დილა,
შეშინებული რეკავდა ზარი,
თვალცრემლიანობს პატარა ცირა,
აღარც მზე იყო და აღარც ქარი...

ვეღარ მოასწრეს ცათამდე სრბოლა,
ბოლო წამებში მძვინვარე ლამით,
მეწყერში ავლეს ძაძები გლოვად
და გადაშავდა ქარიტი მთვარის.

დარდი და სევდა ტალახში ცვივა,
შეშლილი ჩანდა ბედის „მხატვარი“,
მე გეთხოვებით, მე გული მტკივა,
სიცოცხლის ხაზი ნეტავ, სად არის?!

რად გამახსენეთ, გული რომ ქრება,
რად გამახსენეთ სიკვდილის ხელი,
ქართულ მიწაზე მოვარდა დელგმა,
მოთქვამს, მოღელავს ერი და ბერი!

როგორ ჰყვაოდა რაჭის ყვავილი,
როგორ გახუნდა დღეს ყველა ფერი!

შოვიანთა შორეთი

შოვში დაღუპულ პატარებს

...არა, არ მახსოვს, მუცლადყოფნისას
მიწა რომ იყო, ჰო, ბევრი მიწა: ბუბა და მთები,
მინდორი, ველი, მზიანი დღენი, ტყეები, ჩქერი,
ჭრიალი ხეთა, ტალახი სველი...

არადა, იყო, ნამდვილად იყო, ის დღეც იყო და
ის ღამეც იყო...

ხო - ხოოო...

- რამდენს ვეტყოდი მიწას, გულისხეთქების ნიშნად,
ღმერთო, ეს ცოდო-ბრალი დედამიწაზე იშვა?
- ნეკნებს გააკრეს ღამე, გულთან, მარცხენა მხარეს
და ერთმა ღმერთმა იცის, ტალახად როდის გვაქცევს.
- მიწას შეეტყო დაღლა, გოგო-ბიჭების ახლოს,
სასწაულს ველი ახლაც, იქნებ გიპოვონ, გნახონ.
- არ მახსოვს-მეთქი, არა, მუცლადყოფნისას მიწა,
რა უსაშველოდ მტკიცა... ბავშვი ტალახში იწვა...

ყველაზე მეტად, ბები, ცოცხლები იყოთ, მინდა.

ცამეტი გაგიზვაბა

ცამეტი ცრემლი დაეცა ვერეს,
ხევმა დაფარა ზამბახის ყელი,
ვერანა ვერე თქორავდა მერე,
ღამე მოვარდა ავი და სველი.

ცამეტი წამი დააკვდა ტალღას,
ნაქვალორლალით აიცსო დლენი,
ვერ გაახარებს გოგონა პალმას,
კისკისი შეწყდა, სიმღერაც - ძველი.

მერე ცამეტჯერ გაგიუდა ვერე,
არაზნის დილა შიშისან კრთოდა,
ეხეთქებოდა ღრიალით ზეკარს,
წყალთან მომდგარი სიკვდილიც თრთოდა...

და მერე ვერე ცამეტჯერ მოკვდა,
ცამეტი კვიმით, ცამეტი გვიბით,
ბედს ვილაც წერდა ზვირთების აქეთ,
ზამბახის ყელი წაიღეს იქით...

ხათუნა ავესელავა

მოვი

(თოჯინიან მამას)

ბუნებამ ეს რა მარგუნა,
სულში ტრიალებს მეწყერი,
გული დარდებისგან შფოთავს და
ტკივილისაგან ვერ ვდგები.

ან რა მზემ უნდა გამათბოს,
უთქვენოდ მგონი ვთავდები,
ბედისგან მიტოვებული,
მონატრებით თუ დავთვრები.

საფლავის ქვაზე ჩამომჯდარს,
თვალებს მისველებს ცრემლები,
მა, ჩემო ანგელოზებო,
დედას ჩასჭიდეთ ხელები.

უთქვენოდ რაა სიცოცხლე,
ან ეს ჩამქრალი კერია,
სხვა გზა არ დამრჩა იქ წავალ,
იქ წავალ, სადაც მელიან...

የኢትዮጵያና (በአዲስ)

შოვის ცრეალი

ლექსებს ვეღარ ვწერ, ტკივილია, გულს რომ მისერავს,
დღეს საქართველომ კიდევ ერთი ძაბა ჩაიცვა,
არ მინდა! აღარ, რომ გაიგო, ყურო, მთის ენა,
კიდევ ერთი დღე ჩაესვენა, დარჩა დაისად.

მთა დაიძრა და გული დაბლა ჩამოიყოლა,
მზედ აჭრილ სულებს ვეღარა ვხდით სამოსს, ლაფიანს,
შავი სიმღერა რად ასწავლე, ყვავო, იმ ყორანს?!
შავ ყელიდან რომ მჩხავანა ხმით ამოაფრქვია.

რა ბედენაა, ღმერთო ჩემო, ეს რა ვიხილე?!
ტალახიანი აგვისტო მზეს მკლავზე ესვენა,
ცრემლით დამბალი ძაძა ეცვათ ერთხმად მზის სხივებს,
რა მელექსება, თუ კაცი ხარ! რა მელექსება?!

მაჩინა აოზანიშვილი

მოვი

გუშინ რომ ბაღში სტვენდნენ შაშვები,
ყორანი ყორანს გადუჭახჭახებს...
მიატოვებენ მიწას ბავშვები
და წამოსცდება გმინვა ჭანჭახებს...
გულები დარჩათ ტალახში მშობლებს,
დალასლასებენ ფერმერთალ ლანდებად...
ვის პირმშოს ართმევ, ვის დააობლებ,
დროო, უდროოდ რატომ ლამდება?
ვიღაც მდიდრდება არმად ნაშოვნით,
ვიღაცას ბოლო ლუკმა ერთმევა...
სინდისი დავგმეთ, უფალს დავშორდით
და მიგვატოვეს სულის ლმერთებმა.
შერჩება ხსოვნას ტკივილი მწარე,
მოუშუშებელ, სისხლმდენ იარად...
მოუქვითინა ნასოფლარს მთვარემ
და ჭირისუფლად ჩამოიარა.

დვარცოფს გაყოლილთ

დუღს გულში ცრემლი,
ნამლეკი ყოვლის...
გუგუნებს ელდად -
ვერე და შოვი...
ჩვენ ცოცხალთ გვითრევს
ლაფი და მწვირე...
თქვენ ცამ შეგმოსათ
ქათქათა მოვით.

მოვი...

ყლორტებს ჯერ არ გადაფურჩქნულს
შენს წიაღში მარხავ,
მზე ღრუბლებში დამალულა
მტირალ სახეს მალავს.

მამა შიშით გადასცქერის
დელგმას გადარეულს,
გულზე ჯანლი დასწოლია
ჩოხაჩამოხეულს.

ჩამოიქცა ნათელი დღე,
ვგლოვობთ ამდენ ცხედარს,
ეს პატარა, მცირე ერი
ვიწრიტებით წვეთად.

სიხარბისგან ვჩეხავთ ხეებს,
სისხლით გაპოხილებს,
მიწა სტაცებს დედას შვილებს,
ვით მკერდიდნ ლილებს.

კვნესის, ოხრავს დინჯი რაჭა,
შოვი სიმწრით იწვის,
ცრემლიანი ჩემი ერი
მიცვალებულს ითვლის.

გლოვა...

სახეს იხოკავს ქარი აშარი,
გლოვის ზარები რეკენ ზეციდან,
დედა დაეძებს თავის პატარებს,
ტალახში ჩაფლულს ხომ არ შესცივდა.

მწვანედ დაფარულ ლამაზ გორაკებს
გული გაერღვათ, სული აკივლდა,
სიკვდილმა ბავშვთა ლალი სიცოცხლე
გიშრის მძივივით ურცხვად აკინძა.

ხელაპყრობილი კელაპტრით ხელში,
ვედრებით ცრემლი თვალში დამშრალა,
ვერ გაიშალა ვარდების კვირტი,
ჩამარხა მინამ, მთების ნაშალმა.

რა გაგვამრავლებს, როცა ამდენი
ტალახში ჩარჩა ძე და ასული,
დაფენილია ყველგან ძაძები,
ბედმა დაარქვა უკვე წარსული.

ეს რა გრიგალმა გადაგვიარა,
წამოგვეწია ღვარცოფი გზაში,
მზის სხივად მოხვალთ ან წვიმის წვეთად,
ანგელოზებად გაფრინდით ცაში.

30 რეს

აიყრებიან ღრუბლები,
დაეცემიან მთებსაო,
ატყდება ჭექა-ქუხილი,
მეხი ეცემა ხესაო.

ვერე, პატარა მდინარე,
დაემსგავსება მხეცსაო,
ღვარცოფად გადაქცეული
ღრიალით ჩადის ხევსაო.

ბევრსაც წაართვა სიცოცხლე,
ამოუბნელა თვალთაო,
მათმა ნატანჯება სულებმა
სუფევა პოვეს ცასაო.

მაინც არ გავიწირებით,
უფალი მოგვცემს ძალსაო,
მოვინანიებთ ცოდვებსა,
ასე გადვიხდით ვალსაო.

ავდარსა დარი მოჰყვება,
გამოანათებს მზეცაო,
ვერეც კალაპოტს მოძებნის,
არ გაგვიმეტებს მეტსაო.

რაზის ტრაგედია

ასეთი სასტიკი რატომ ხარ,
ბუნებავ,
რაც გვჭირდა, ის აღარ
გვაკმარე,
როგორ გაიმეტე ამდენი
სიცოცხლე,
შოვი ღვარცოფით
დაფარე.
გლოვობს რაჭა და მთელი
საქართველო,
შავ ძაძებს იცვამენ
ქედები,
ღმერთო, შენ გაბარებთ დაღუპულთ
სულებს,
ცაში დაუმკვიდრე
ედემი.

მე მთკივა შოვი

ფოთოლიც ტირის,
ცრემლი სდის ღვარად,
წუხს, რომ არ შესწევს
სხვის დაცვის ძალა.
შერცხვა სიცოცხლის,
თავი დახარა
და შეერია ღორლსა
და ტალახს.

ՃՇՔՆ

Րաճ Շեծյուրյ ծրողուս პորո,
Րաճ յսմինյ պոզոլս Տցաշտա,
ծյսձա, ցյերո րաճ ուշալլյ,
Րագոմ քանձերթպյ կալտա?!
„ծյսձա, Քյուրօյաճ ցամոժրոլոն“,
Րաճ միշպուդյ Տյոլո ქաջտա,
Տգյումրաճ մռաշուլտ Շենս կալտեծտան
Ծավարժուս პյուրուտ դախչու, Րատա?!
Եց Ցյոլո Րամ ցացոյնա,
Թիյ Տյոլ մյուճամ ցագցաս տացսա,
Շենս Տոգյուրօյը Շեթեարուճնեն,
Ցոն ցլոճա Շենցան ավսա?!
Քարցաթյեթոլ ճանուս პորուտ
Ճացոյսէրյ Ցյոլո Տալեսա,
Կրեմլս Վեր Ցոմրոծտ, ցակոյոլուս
Տյոլո Շուժրուտ նաևշուլտ Ցիասա...
Վեր ցագոյա Վերա Ժալա,
Տոյ ծյոնեծա ծրճանեծս Րասաց,
Ճացամինուս Կոճալուս կալու,
Ճացաթյուն նուսլու տացսա...
Գաևաժրուլա Արյ-մարյ,
Բյյամուց ալար ուսմուս արսաճ,
Կաս Վարսկալավաճ Ճայոյնա
Նարհիշ Տյոլտա Տենու Ճասաճ!

რატომ...

გემშვიდობებით, სამშობლოს მთებო,
ვეღარ გვიხილავთ ანი, მშვიდობით!
შუბლზე სიკვდილი თუკი გვეწერა,
რას მიქცედებოდით, ან რა ვიცოდით!

ტალახში გვერგო სულის ამოსვლა,
ტალახმა ბოლო ნანა გვიმლერა,
მერე დაგვხვია თავისი გარსი
და ვეღარავინ ვეღარ გვიშველა!

ასე დასრულდა ჩვენი ცხოვრება,
რომელსაც კარგად არც კი ვიცნობდით,
ახალგაზრდულად გვიყვარდა მთები,
თუ გაგვნირავდა, ან რა ვიცოდით!

რატომ შეჰყარე ღრუბლები ჩვენზე,
ეჲ, ბედო, ნეტავ, რატომ გაგვნირე?
რატომ მოგვწყვიტე სამშობლოს გულზე
და ყველა ჩვენზე რატომ ატირე?!

როგორ არ ვუთხრათ ბედს სამდურავი,
როცა ჩვენს შეყრას ერთად ლამობდა,
ვინც რომ ამ ტალახს ვერ გადავურჩით,
სიკვდილი მხოლოდ ჩვენზე ლალობდა!

ვაი, ქვეყანას, შვილების მტირალს,
ვაი, სამშობლოს, ცრემლებდადენილს,
ერთიც არ ჰყავდა დასაკარგავი
როგორ გიტიროთ, შვილო, ამდენი!?

ისევ რაზა

გლოლაში გლოვა ჩამომდგარა,
შოვში ღამეა და უკუნია,
ბუბას ყინულივით ცივი წყალით,
მთელი ველ-მინდვრები მოურნება.
ჭანჭახს, გააფთრებულს ვერვინ თოკაეს,
დღეა, მაგრამ ისმის ღამის ექო,
ეს რა ტკივილები დაგვაყარე,
ჩემო საყვარელო რაჭის მთებო!
როგორ მიყვარდი და როგორ მძულხარ,
უკვე საჩემისოდ ვეღარ გცანი,
როგორ მინდოდა, რომ დამელია,
ამ ზაფხულს შენი მჟავე წყალი...
რად გახდი ასე უკარება,
რატომ ჩაგვისახლე გულში დარდი,
რაჭველს რაჭველობა მიხაროდა,
ახლა ასე უცებ გავერანდი!
ჩემი წინაპრების სისხლი მიხმობს,
ღებში ვენაცვალო მინდა მინას,
მაგრამ ეს ამდენი ტკივილები,
უკვე მთელ სხეულში ჩაიტვირთა.
გლოლაში გლოვაა და სიბნელეა,
შოვო, სამოთხეს რომ შეგადარეთ,
ასე უცებ როგორ მოიღრუბლა,
მიწა ცოცხლად როგორ მოგვაყარე!

ԱՆՁՆ ԸՆԾԱԿԱԲՈՎ

ՅԵՐԱԿԱՆ

Ռողոր մթկուզա, ჩյօմո ռաժազ,
Շենո ճոճո սահկուզարո,
միժորս, սոթպաշտ զեր զըռոյլոնձ,
Ռողոր գոտերա սամծմարո.
Ճալու Ռողոր ճացուամո,
Ռուս ճազդուզար Հռութեալ-մյազդարո,
Շենս սամոռտեզ յլուսուլ Շոշմո,
Ռուզա ջառջոնետո արուս.
Ռուզա ճարո խացուազդրճա,
Եմա ցաւսմա Շեսաზարո,
Ռուզա Շենս Շվոլուտ սածնաճ ենրազտ
Ես ծնելուտուս նոալզարո.
Ռուզա մոմեյ մոյզասս յժյեծս,
Արսաճ ար սիհանս մատո կվալո,
Ռուզա ցոռդզուտ ճառերդոլուճ,
մինաս նոնապարտա ժվալուց...
Ճլես Շվոլուա պայլա ჩվենո,
Ճա-ճմա, ճեճա, մեցոնարո,
Գորուս մտյելո սայարտվելոն,
Շեմրյալուա մտա ճա ճարո.
ՄԵՇԵԱՐԵԱ ճլես ծյնեճաչ,
մոքցլուչիա մուս Շվոլուս մեարո,
Ռաժուս յլուամանյուս նեցաս
Ճակուճզուա ցլուզուս նարո.
Միշեսաչ սենցո ճայնամացս,
Ճրյաճելուս ჩայւպուա Շացո,
ჭիրուսույլուճ մոքոյենու,
Ճառուցուչս, ճուլուս նմոնճա ցարո.

გული მტკივა, სული მეწვის
და ამ ტკივილს არ აქვს ზღვარი,
რა მძიმეა სატარებლად,
ჩემო რაჭავ, შენი ჯვარი.
ჩემო მუხავ, ძირმაგარო,
რად შეგიდგა ფესვებს წყალი,
ასე მნარედ რად იხადე,
შენი მშობლიური ვალი.
ჩემო ტანჯულო სამშობლო,
განა გაკლდა სატირალი?!
ლმერთმა ასე რად გაგვწირა,
ყველასია საფიქრალი...
ლმერთო, ცოდვილთ მოგვიტევე,
დღე მოგვეცი გასახარი,
შენთან გამოფრენილ შვილებს,
ცად გაუღე სამოთხისა წმინდა კარი.

პუბა

ბუბა, რატომ აატირე
შენი გვარის ჩემი დაო,
მიკვირს, როგორ ვერ გაიგე,
განწირული დედის ხმაო.
მან ხომ შვილი მოგაბარა,
შენს კალთებზე აძინაო,
ასე მნარედ რად უმღერე
ტკბილი იავნანინაო.
ასე როგორ შეგეშალა,
მასპინძელო რაჭისაო,
შენთან სტუმრად მოსულ შვილებს
არ აცადე სიტყვის თქმაო.
კალთა ისე დაიბერტყე
ყველგან ცრემლი დასცვივდაო,

ცოდვით მიწას ძვალნი იძრა,
ქართლის დედაც ატირდაო.
გზა-გზა ყველა გადათელე,
არ დატოვე ხე და ქვაო,
შავი ნისლით გადაბურე
მოწმენდილი ლურჯი ცაო...
ნეტა, უფრთო ანგელოზთა
მსხვერპლი რისთვის დაგჭირდაო,
მათ ცრემლებად და ტკივილად
ნუთუ ქვეყნად რამ ღირდაო?!
ასე რატომ გაგვიჯავრდი,
კეთილ კალთა რაჭის მთაო,
შენთან ყოფნას ხომ შენს შვილებს,
არაფერი ერჩივნაო...
გსაყვედურობ, მაგრამ ვიცი,
გული შენც რომ გეტკინაო,
როცა მამას დაუნახე
ხელში შვილის თოჯინაო.
როცა და-ძმამ, დედაშვილმა
მზეს ბოლოჯერ შესცინაო,
როცა წარლვნა ჯოჯოხეთად
გაიძალა შენს წინაო.
შენც ატირდი, ამაყგულავ,
ცხარე ცრემლი გედინაო,
როცა ნახე იის ნაცვლად
მკერდს შვილები გეფინაო...
არა სჯობდა, ჩემო ბუბა,
გლოვის ნაცვლად გველხინაო,
ამ ცქრიალა გოგო-ბიჭებს
შენს კალთებზე ეფრინაო?!
ვაი, ვაი, რომა სჯობდა
თავი გამოგეჩინაო,
ვაჟკაცურად სხვა გზით გევლო,
შვილნი გადაგერჩინაო.

მახსოვრობის ცამატი

გაწვიმდა უცებ, გადაუდებლად,
ცამ თითქოს დარდის დაცალა კალთა...
მდინარე ვერე იქცა ტალღებად,
არც მიწა, არც ცა აღარსად ჩანდა.

ხმა ეხლებოდა ქალაქის ქვიტკირს,
სასჯელი იყო, თუ განაჩენი?!
ვნახე ის ღამე და აღარ მიკვირს,
რომ არ ხორცდება ჭრილობა ძველი.

ბევრის ოცნება გაქრა უკვალოდ,
თავგანწირულიც ვირწმუნეთ ბევრი,
ახალგაზრდობა, ჰოი, უფალო,
იმედიანი დღის გადამრჩენი.

მახსოვს ცამეტი, გარეთ ვარ, თუ შინ,
ვით უიღბლობა, ვით განჩინება,
უსაყვარლესი ქალაქის გულში,
ის მარადიულ ტკივილად რჩება.

სამაჩაბლოს სამძიმარი

ცამ ვარსკვლავთა დაფიონი ჩამოშალა
და თავს იხრჩობს ბუბას წყალში მოვარე,
დედამიწა ტკივილისგან შეიმალა,
მწუხარების ლეშხი მიწვავს თვალებს.

სად გაფრინდნენ ანგელოზნი თეთრი ფრთებით,
მიწის ტალღა სამოთხის კარს ფარავს,
მწვერვალები, ცრემლიანი მწვერვალები,
რაჭას ვეღარ უამებენ ვარამს.

ტყეებს შერჩა ბილიკები მათეული,
სიხარული გაჰყვა მიწის ნაშალს,
ლამები, ოცნებებში გათეული,
უცაბედად, თვალში ცრემლად დაშრა.

ვეღარ უძლებს, ტკივილისგან მოსთქვამს ქარი,
გული ისევ შოვის ტანჯვას ერთვის,
სამაჩაბლო, ჯერაც ცრემლებშეუმშრალი,
მუხლმოყრილი სანთელს ანთებს შენთვის!

გულში ლოცვის ტაძარია აგებული,
დამორჩილდა სული ამდენ ვარამს,
ო, სამშობლოვ, სიცოცხლე ხომ მათეული,
შენ გაკლდება, შენ გჭირდება ხვალაც!

ჩაიხერგა უნდობლობა შესაზარი,
ორგულობა კლდესაც აცლის ძალას,
ვინ მტერია, ვინ მოყვარე, ვინ ხიზანი,
ეს განცდაა, დღითიდღე რომ გვპზარავს!

დელგმად იქცა გულში დარდი ვერტეული,
როგორც ტოტებს შემორტყმული ხალა,
მიწას ღებავს შეწირულთა ძოწეული,
მეწყერად რომ ამოსკდება ხანაც.

მტანჯველ სიზმრებს, რახანია, ვერ ვიცილებ,
მზეგადამქრალ მზერას როცა ვნახავ,
ო, სიცოცხლევ, რა უბრალოდ გაიწირე,
იმ მეწყერმა, შოვში, ჩვენც დაგვმარხა!

შოდის კლდეს კი, სიხარულის ჩქამიც არ ძრავს,
აღარც მიწის სიყვარული გვშველის,
ჭირისუფალ რაჭის ტყეებს მოსავთ ძაძა,
მოზარე ვართ, მოზარე ვართ შენი!

სავედრებელი ღვთისებობელს!

მწუხარე სამოსზე ეკლის გვირგვინია,
ჩამქრალი დღეების ნაკანწრი კვალია,
ყვავილის ფერიებს რად მოუწყენიათ,
ცაზე ცისარტყელას რად არ უხარია?

დუღს ცრემლის მდინარე, მიწის გულს რომ ერთვის,
რა სიმწუხარეა... რა სიმწუხარეა...
დაკარგულ ანგელოზთ ეძებენ და ვერ ვთვლით,
ცისკენ გაფრენილან, დედაო მარიამ!

ტყეების ღამეულ ფიქრს ავედევნები,
ფოთლებზე ტკივილის ნაცვენი ცვარია...
ღორლიან დაღმართზე კვალია ცრემლების,
ლურჯი კესანების უკვე ნაკრძალია!

დარდიან კალთაზე შოვი გისვენია,
ნილხვედრი მამულის გზა შესაზარია,
შენ შემოგავედრებ, თუ რამ დაგვრჩენია,
სიცოცხლე მოგვმადლე, დედაო მარიამ!

შენს სულში მარადი წუხილი თვალს ახელს,
ძის სიყვარულის და გოლგოთის დარია,
ო, ამის ატანა გვასწავლე, რაც ვნახეთ
ბუბას ეშაფოტზე, წმინდაო მარიამ!

ნეტავ რად დაგვჭირდა გაწირვა ასეთი,
გაწირვა ამგვარი, სად ნაეკლარია...
მწუხარე ზარების მოთქმა კი ქარს ერთვის,
დაგვიცავ, დაგვლოცე, დედაო მარიამ!

თავდახრით გიყურებ განცდით სინანულის,
შენ უკეთ შეიცნობ, რაც ცოდვა-ბრალია,
ო, მაგ სიმწუხარის, ო, მაგ სიყვარულის,
ალარც დანდობაა, ალარც საზღვარია!

ვიცი, მათ, რჩეულებს, გზა აქვთ საფიცარი,
სად უფლის ლოცვაში სულს მიუხარია...
იქ ყველა კარგია, არდასავინყარი,
არდასაკარგია, დედაო მარიამ!

შოვზე კი, უცხო რამ ფენილი სხივი თრთის,
იმ ანგელოზების მზირალი თვალია,
განწირულ ანგელოზთ ქვეყნად ვინ დაითვლის,
ცაც მათით ბრწყინდება, დედაო მარიამ!

მოვი

წყალი და მიწა შეიქმნა მთელი,
დამძიმდა გზა და გაჩნდა ბზარები...
ჩამოსკდა ექო დამანგრეველი,
მთები დაიძრა გლოვის ზარებით.

ფესვმოგლეჯილი, ტანმოგლეჯილი,
ამოგლეჯილი მოაქვს ხეები,
გულს მეხეთქება კლდეს მოგლეჯილი
ქვები, ლოდები, მთელი ტყეები.

საზარელ სურათს უყურებს თვალი,
ჯოჯოხეთური დადგა დღეები...
ვერავინ გშველის, ვერავის ვშველი,
ლაფში მაქვს გულიც, ხელიც, ფეხებიც.

რწმენა კი უცდის, იმ წუთს და იმ წამს,
არა, ვერ ჩათვლის მათ დაკარგულში,
იმედი მოკვდა, როდესაც მიწამ,
სამივე ერთად ჩაიკრა გულში.

გაქვავდა კაცი თოჯინით ხელში,
ხელებგამლილი ვის მოეხვიოს?
დაფლეთილ გულს და დაგლეჯილ სხეულს
როგორი რწმენითლა მოერიოს?!

ცრემლებით ისევ იწვიმა ზეცამ,
იჯდა ლოდივით, ფიქრს მოგლევილი,
ველარ გაუძლო ალბათო, დედამ,
ნყალს რომ მიჰეონდა კალთიდან შვილი.

გაქვავებული იდგა ბუნება,
ხმას ვერ იღებდა ქარი ჩამდგარი,
დანაშაულის თვალწინ ყურება,
მათ მხრებზე იყო სიზმრად დამდგარი.

სიკვდილმისჯილებს პგავდნენ კლდეები,
ალარ ბორგავდნენ მიწის ზვირთები,
ტალახშემხმარი იდგნენ ხეები,
გულზე ეკიდათ ცოდვის ტვირთები.

დრო არ კურნავდა, დრო წერდა დლეებს...
ხევებში ქარი ისევ კიოდა,
ჩამოეფშვნიტათ ტალახი ხეებს,
მაგრამ ვილაცას ვილაც სტკიოდა...

გადაიდარა, გადაშრა გზები,
უმანკო, ნორჩი გაჩნდა ბალახი,
იქ, სადაც იყო გოდების ხმები,
გულზე ნაწოლი ქვა და ტალახი.

13 0360606 ლამე

თეთრი ბუმბული ვიპოვე,
ბუმბული იყო გედის,
ვარაზის ხევში ვიპოვე,
როგორც ღრუბელის პლედი.
უცებ დაიწყო წვიმა და
უცებ ადიდდა ვერე,
ვერემ და შავმა ღრუბლებმა
დარდები გამიბევრეს
და ლამე გახდა უკუნი
და ლამე გახდა ბნელი,
ვერავის ვერ მივაწვდინე
დასახმარებლად ხელი...
იყო გოდება, ვაება,
ყველა ითხოვდა მაშველს,
ანგელოზები უხმობდნენ
ლურჯ მონასტრისკენ ბავშვებს...
კრთოდა ცხოველთა სამყარო,
ფრთები დასცვივდა ფრთამალს,
ზოპარკში მდედრი ხოხობი
ხევში უხმობდა მამალს...
„წყლის ძალა მოგცეთ ღმერთმაო!“ -
ილოცებიან ჩვენში
და მართლაც ძალა ჰქონია
ვერეს-ვარაზის ხევში...
ატირებული თბილისი
დღემდე ვერ იშრობს ცრემლებს,
შავი კაბები აცვიათ

ივისის თვეში ტყემლებს.
თეთრი ბუმბული ვიპოვე,
ძირს დავარდნოდა ძერას,
ჩასძინებოდა იმ ღამით
ვერაზე ბეჭის მწერალს!..

მახაჭიც „თამაშობენ“ თოჯინებით...

არ დაელია მწუხრის დღე რაჭას,
ცრემლი, ტირილი, გმინვა და გლოვა,
შავი ღრუბელი შავ ბანარს კვანჭავს,
რომ ჩამოახრჩოს მგლოველი გლოლა.

უკვე რამდენჯერ აკივლდა ქარი,
უკვე რამდენჯერ აბლავლდა ბუბა,
კავკასიონის პატარა ღარით
თვალზე ცრემლი ვერ, ვერ დაიგუბა...

მოწყდა ყინული მთების კალთას და
კივილი მორთეს შოვში ნაძვებმა,
ამ ტრაგედიით ლიმილა მზეც კი
სირცხვილისაგან დუღს, ილანძება!...

მაცნე მოვიდა მამისონიდან,
ძალიან ცუდი, ცუდი ამბებით,
წელს „იავნანას“ ქალების ნაცვლად -
„იმღერებენ“ შვილმკვდარ მამები...

ო, მაპატიე, უფალო, ღმერთო!
შენს წინაშე რომ ამის თქმას ვბედავ:
კიდევ კარგი, რომ მამამ იპოვა,
შვილის თოჯინა, თოჯინა - ბედად!..

ჰო, ალბათ, ყველას გაგიკვირდებათ,
მამამ შეიცნო თოჯინა რითი? -
თავად თოჯინას თურმე ეჭირა,
ტალახიანი „დედიკოს“ თითი...

შავი ჩაიცვეს შოვში ბავშვებმა,
შაშვიც ტირის და სიმწრით ჭახჭახებს,
მზე მთვარეს ვეღარ ეთამაშება,
ტალახი მოსაეს ბუბას, ჭანჭახებს...

„ჩასძინებია“ რაჭას გლოვაში,
ვერსად გაიგებთ ჭრიალს ურმების,
დადუმებულან შორს, ჭიორაშიც,
გუდასტვირნი და ჭიანურები...

2010 მაფაჩიშვილი

(ეძღვნება შოვში დალუპულთა ხსოვნას)

ვისვრით ლაფს, ლაფს ვისვრით,
ქვა-ლორლსაც...
და ასე, ყელამდე ვისვრებით...
ვიღლებით ერთურთის „შემოსვით“,
ერთურთის ძაგებით ვიღლებით.
ასპარეზს ვერ ვუთმობთ გატანას
და მერე, ვითარცა „გმირები“,
პირქუშად დავეძებთ გვირგვინებს,
მყინვარის დიდებით ვირთვებით
და ამ დროს, ნამდვილი მყინვარი,
დარდის და ყინულის ფილებით,
დაბლობის სიფიცხით იშლება
(დიდებავ! - რა უცებ მიღრები?!).
და ვიდრე, ლაფს ვესვრით ერთმანეთს,
ჩვენ — ძალმომრეობის გმირები,
ლაფისფერ ლაბადებს იცმევენ
მგზავრები — ცის პილიგრიმები!
ჩვენ ვლენავთ ტალახის დარაბებს,
ისე რა ნამდვილნი, ფლიდებიც...
ვერ ვშველით, ვერ ვშველით განაჩენს,
მიდიან ბავშვებიც, დიდებიც...
ოდესმე, ჩვენ ჩვენი წაგვლეკავს,
ცოდვისფრად ჩვენც გადავბინდდებით,
ცის გაღმა დარაბებს შეხსნიან
(იქ არ დაგვჭირდება „გრიმები“),
და თუ აქ ვერაფრით ვუშველეთ,
დახუნძლულთ ტალახის გირებით,
მაშველად ჩაგვეჭიდებიან,
მგზავრები - ცის პილიგრიმები!

შოვის ცრემლები!

დაღონებულან შოვში ხევები,
აშოლტილ ნაძვებს სიო არ უმღერს,
ხსოვნად შემორჩათ გასუდრულ ხეებს
სასოწარკვეთილთ ხმათა ღრიალი!

ნისლიან მთებში სიტურფე შობილი
მოვარდნილ მეწყერმა დაფარა ღვართცოფით,
დარჩა საუფლო მთლად წალეკილი,
მთის ტალახით და შლამიან ლაფით!

დასკდა ცის კიდე ავარდნილ წივილით,
დაახშო სმენა განწირულ ტკივილით,
უფალო, არა ჩანს არსათ მაშველი,
ბაგშვები წაილო მეწყერმა ტირილით!

სულ თოთო ბავშვები ზეცას აფრინდნენ,
ოთხი წლის გიო, ვერა და ვერ ნახეს,
შლამმა დაძირა, თუ წყლის ნიაღვარმა,
ბებია, დედა გლოვობენ იმიერს!

გახევებულა მდუმარედ შოვი,
ნარღვნილ ხეობას ზეცა დაპყურებს,
შფოთი და ღელვა თითქოს შოშმინობს,
ვაი, ვიშვიშით ისევ ქრის ქარი!

მზის მცხუნვარებამ გაახმო ლავა,
აზელილ ტალას შეახმა მორი,
კიდევ რამდენი ჩაკირა ლავამ,
დაუტირავი ცხედართა შორის!

ტირილი, წივილი, გაქცევა, წაქცევა,
მაშველად კი ყველას წინ დახვდა სიკვდილი,
არავინ ფიქრობდა შოვში წამოსვლით,
გზას მოუჭრიდა სიცოცხლეს სიკვდილი.

უფალო, რად მოხდა ეს ცოდვის კერა,
რად დაისაჯა ხალხი უბინო,
უფალო, როგორმე, ხელი შეგვაშველე,
ვინც დაგვრჩა საფიცარი, ყველა დაგვილოცე!

შოვის ტკივილი, სულში დალექილი
რეკავენ ზეცაში მნუხრის ზარებად,
მამულს კი დაკარგულ თავის შვილებზე,
ტირილით ეღვრება ცრემლები გუბეში!

მოვს

ბუბას ზათქმა თუ დაუსხა ქორთა რეტი,
რომ ფახვახით თანატოსსაც* უხმო წელს.
ვით აზიდულ სვეტთა ბოლო ქოთარეთით*, -
სასულეთა - ყრმათა, ლაფთა უხმაწეს*.

რაბი, ბრმათა სასიკეთოდ მო იმ შოგსაც,
„ბზესთან“ შეყრის,
ოჯახთ, მიე პირი* და...
მიწავ,
შენც ხარ! -
ასე როგორ მოიმშიე,
ცოცხალ ლუკმას რომ ვერ გაცლით პირიდან?!

*სიკვდილის ღმერთი;
*სცეროს ფორმის სვეტისთავი;
*წაუჭირეს;
*უფლება.

ზურაბ მამულაშვილი

ვერე და შოვი...

ვერე და შოვი, შოვი და ვერე,
ვფიცავ, კარგა ხანს ვერ დავიჯერე,
რა ტრაგედიაც იქ დატრიალდა,
სანამ არ ვნახე ამ ჩემი თვალით
და ამ ხნის კაცი შემძრა მთლიანად.
სულ ცოტა ხნის წინ ვერეს ადგილი,
სულ ცოტა ხნის წინ ხევი რაჭისა,
ვფიქრობ, არავის ჰქონდა გათვლილი,
ზაფხულში ასე დიდი ჯანყისა.

ნუთუ უფალი ასეთ მსხვერპლს ითხოვს,
თუ ვცოდავთ ისე, ვერა ვგრძნობთ თითქოს,
თუმცა, ბავშვებმა რა დააშავეს,
ასე ადრე რომ ემსხვერპლნენ ცოდვებს.
აი, კითხვები, რომელიც დამდევს,
აი, დღემდე რომ კითხვებს მიტოვებს,
რომ ასე უცებ, მოულოდნელად,
წამებში გაქრა მათი სიცოცხლე.

„ოი, დედანნო, მარად ნეტარნო,“
ქვეყნად მოისპოს ეშმას მოდგმისა,
როგორმე უნდა გადავიტანოთ,
ეს უცნაური ხანა ყოფისა.
ისე აღვდგებით ყველას წინაშე,
დღემდე პასუხი მტერმაც ვერ აგოს,
საქართველო კი დედამიწაზე,
სანამ მზე ათბობს, მუდამ გვენახოს.

უფალო, სად ხარ?

ყინულის ლოდი, უზარმაზარი
მოსწყდა ბუბას და დაბლა დაეშვა,
მან შოვის მიწას დასცა თავზარი
და გზა გაუხსნა დარდს და კაეშანს...

გავეშებული მოსჩქებს ღვარცოფი,
არავის ინდობს, არვის ახარებს,
გაშალა შხამი, გაშალა ცოფი,
ერი ცრემლსა ღვრის, ეშმა ხარხარებს...

ზვავის გრუხუნი, ხალხის კივილი,
შოვისას ხატავს საზარელ სურათს,
კურორტს ეწვია დიდი ტკივილი...
დედამიწა კი ჩვეულად ბრუნავს.

და აბობოქრდა ტალახის ზვავი,
განწირულ სულთა გაძნელდა სუნთქვა,
ლორლით ევსებათ პირი და თვალი...
ბევრი მათგანი დაფარა სულმთლად.

შთანთქა ღვარცოფმა კაცი თუ ქალი,
უმანკო ბავშვნი დამარხა ცოცხლად...
სამგლოვიარო აჟღერდა ქნარი
და საქართველო ცრემლებით მორწყა.

რამდენი დედა ატირდა მწარედ,
ძაძამ მოიცვა, კვნესამ და ურვამ,
როგორ გაუძლოს ტკივილებს ამდენს
დედის თვალებმა და დედის გულმა?

ბევრს საფლავიც კი აღარ ელირსა,
სულ ნაწილ-ნაწილ დაფლითა ზვავმა,
ვერ დაეპკურათ ცრემლი დედისა,
ანგელოზებად აფრინდნენ მაღლა.

ზოგი განსაცდელს ძლივს გადაურჩა,
მთელი ოჯახიც ზოგი ამოწყდა...
უფალო ღმერთო, ნუ ჩამთვლი ურჩად,
თუ საყვედურის სიტყვა წამომცდა!

ვერ დავაფასეთ ნამდვილად შენი
ვერც სწავლებანი და ვერცა ჯვარცმა,
გთხოვ, მოგვიტევე ცოდვები ჩვენი,
ეშმა ხარხარებს და შენ კი სად ხარ?!

ლორთო, არ გაგვირო

რა დღე გაგვითენდა, რა დღე გაგვითენდა,
ჩემი ქართველებო, ჭირი გაგვიბევრდა,
ნატანჯი ქვეყანა ცრემლით დაგვისველდა,
გული დაგვიწყლულდა და მზე დაგვიბნელდა!

სასო წარგვეკვეთა, შიშით ვუცქერთ ხვალეს,
ნისლი დაებურა ჩვენს იმედის თვალებს,
ჭანჭახი და ბუბა გვიბრუნებენ ვალებს,
რაც ვერემ დაგვაკლო, მათ გადაგვითავეს.

უცებ გაელვიძა მეწყერს, მიძინებულს
და მხარი აუბა ღვარცოფს გაგიჟებულს,
უწყალოდ ეკვეთა შოვის მიწას-ქებულს
და ახლა კი ვხედავთ აღგვილს, აოხრებულს...

დაფარა ქვა-ღორღმა შოვის მიწა შავი,
დაფარა სახლები ტალახით და ზვავით,
ჩაყლაპა ღვარცოფმა მოზრდილნი და ყრმანი
და დაახშო მათი დასახსნელი გზანი.

ერთგვარად მოექცა ადგილობრივთ, სტუმართ,
დასვენების სიტქბო შეუცვალა ურვად,
უწყალო სტიქია მათ მოექცა მტრულად,
ექებენ, ტალახმა ვინც დაფარა სრულად...

საქართველოს მოსავს კვლავაც გლოვის ზარი,
ნათელს იყოს ყველა სტიქისგან მკვდარი...
ხალხო, მივხვდეთ, ღმერთი ჩვენზე არის მწყრალი,
ამას გვანიშნებენ მდინარეც და მთანიც.

ყველამ დავიჯეროთ, ჯერ არ არის გვიან,
ვეხსნათ სატანის გზებს, ცდუნებებს რომ გვგვრიან,
უფლის გზას შევუდგეთ - ნათელსა და დიადს,
დღეს წმინდანთ ხატები ჩვენთვის ცრემლებს ღვრიან.

ლხენის დღენი გვინდა, მიგვატოვე, ჭირო!
სიყვარული გრწყავდეს, ქართულ ვაზის ძირო,
მტერმა არ დაგვჯაბნოს, მტერმა არ დაგვცინოს,
ღმერთო, არ გაგვწირო! ღმერთო, არ გაგვწირო!

13 0360202 ლამა

ნუთუ ეს იყო რისხვა,
ლეთისგან სასჯელი მწარე,
რაც თავს გადახდა თბილისა
ცამეტ იგნისის ლამეს.

ვინ იფიქრებდა, ნამი
ერთი პატარა წვიმა,
გაგიუდებოდა ისე,
უამს შეგვიქმნიდა კვიმატა.

მაგრამ გაგენირა, იქცა
კოკისპირულად მერე
და გადარია სულმთლად
პატარა ციცქწინა ვირუ.

გადააცეია წიგმამ
ისეთ სისხლისმსმელ მხეცად
რომ მის ბობოქარ ტალღებს
ბევრი გაიძინოს.

და დაერია ერთად
ყველას - მდიდარს და ღატაკას,
მათ პატარებს და დიდებს,
მათ ქონებას და სახლ-კარს.

ხოცავდა დაუნდობლად
დედებს და ძუძუმწოვრებს
და ერთმანეთში რევლა
ადამიანს და ჯეოველს.

როცა დაწყნარდა ვერე
და ჩაეძინა მორევს,
კვნესა-ტირილით თვლიდნენ
მიცვალებულთა გორებს.

და დასტიროდნენ მწარედ
ამდენ შენირულ ზვარაკს,
გლოვის ზარსა და ცრემლში
თავს დაათენდა ქალაქს.

იქნებ გვაფრთხილებს ღმერთი,
(გთხოვთ ნუ ჩამითვლით ბოდვად),
აქაც ტრიალებს იქნებ
სოდომ-გომორის ცოდვა.

ალბათ ეს იყო რისხვა,
ღვთისგან სასჯელი მწარე,
რაც თავს დაატყდა თბილისს
ცამეტ ივნისის ღამეს.

ნაიხა ნინიაშვილი

ტკივილი

შოვი ტკივილისგან
წელში გადაიმტვრა,
ავსილა ღვარცოფად,
უცოდველ პატარების
სიცოცხლეს
სიკვდილმა აჯობა.
მზე სადღაც დასრულდა,
შოვი გაცოდვილდა
წუთებში, წამებში,
მხოლოდ ღმერთმა იცის,
შიშის ქარიშხალი
განწირულთ თვალებში.
სიკვდილმა ქორწილი გამართა,
რვალის ქმნა ცილობა, წაილო
სიკეთე, სიცოცხლე,
თვით დედაშვილობა.
ტკივილის მთები
იშვა
ჩამოჯდა ზღვა დარდი მიღეთის,
უფლის გზას გაუყვნენ
ორჯერ დამარხული
ლამაზი შვილები.

პოვი

ტკივილებზე წერა როგორ მეძნელება,
ღმერთო, დამიწყნარე სულის აგონია,
წუთით ამ ყველაფრის მზარავს წარმოდგენა,
თვალებს ველარ ვახელ, ცხადი არ მგონია.

ამ დიდმა ტკივილმა შეძრა საქართველო,
მე როგორ მიღხინდეს, სხვას რომ ასე უჭირს,
„როგორ შეგეშველოთ - რა მოვიმოქმედო“,
უფალს ვვედრებ მხოლოდ, ჩემი გულის წუხილს.

„ურემი გადაბრუნდა და... გზა გამოჩნდა“,
გონში მიტრიალებს ბრძენთა შეგონება,
დიდმა ტრაგედიამ ყველა დაგვამუნჯა,
დილა გათენდა და... ცხოვრება გრძელდება!

მამაკა რჩიუჩი

მინისფერი სიკვდილი

(ვუძღვნი შოგის ტრაგედიას)

ჩამოიშალა, ზვავად მოდის მიწა და ლორლი,
გულგაყინული ყინულები ამ ზვავს ეკვრიან,
მტირალი ბავშვი კოტეჯიდან მარტოკა მორბის,
რად აზიარე, ღმერთო, ბავშვი ბილიკს ეკლიანს.

ხიდზე შემოდგა წყვილმა ფეხი აკანკალებით,
ჩაჰერნებია ქალი ვაჟის დაღლილ მარჯვენას,
ჯოჯოხეთს მოჰერავს ჩამოშლილი მთათა კარები,
სიკვდილი მოდის, ალარ ტოვებს მცირე არჩევანს.

მოდის და მოაქვს მძიმე ტანჯვა, გარდაცვალება,
შოვს ტრაგედია თალხად აწევს ლამაზმთებიანს,
ცივი ღიმილი შეჰყინვია ლამაზთვალებას,
რომელსაც თვალი სველი სილით ამოვსებია.

გაქრა მინდორი, სილამაზე დაკარგა ჭალამ,
აქ სიცოცხლისთვის, არსობისთვის მძიმე ომია,
რა ქნას ცოლ-შვილის დამკარგავმა საბრალო მამამ,
რომელსაც დღემდე სხეულები ვერ უპოვია.

გლოვობს მამული, ათასნაირ ჭირის მნახველი,
მდუმარედ უმზერს ტრაგედიას ირგვლივ ტყე-ველი,
მაღალო ღმერთო, უკვდავყავი მათი სახელი,
შენს გვერდით ცაში დაუმკვიდრე სასუფეველი.

Աղջ գատենդա լամաზո դա մինանո,
մոյսալմա դամսցենեծլյեծ րաჭա,
ունեցեծու ասրուլյեծ դաօնպո,
ուս կունաշու մոռուալյ րաժմա!

Ուս ուլյեծդնեն մայրաթյելա մերպելյեծու,
Տոյցարուլո ցուրուլյեծ տուզած,
մինչ լրուծլուծան յունոմոծ ծովնեծաս
դա մոնունաշու յունան-յանանա!

Ցայլալա, ցանչ գայրու նատյելո,
մերու յուցեծ համոծնելյած նյուցա,
մերու, մամաթ-մալու զելար ունուս,
տացու սամ շցուլս դայեծեծդա դյուս!

- այ րա եցեծա? կոտեզամ կոտեզա ցայցետա,
- րա դա եցու մողլույուլա տավտան,
մաս տան մոռայց պայլա սախլու, կոթյուն,
եցեծու դա րաւ կո ցնանչ դաեցդա!

Եցու, մագրամ րա եցուա ասետո,
պայլայուրու յուցեմ սոնմարս Ֆըցավդա,
ցատենդա դա ույու տոտյուս սամոտեյ,
դալամդա դա պայլայուրու ցայրա!

აიქოჩრა ტალღა ჯოჯოხეთივით
და სიკვდილი აქ ყველაფერს ხრავდა,
არაფერი, არაფერი დატოვა,
გვამების და ზღვა ტალახის გარდა!

ერთი, ორი, სამი, ოთხი, ხუთი და
საქართველო ვეღარ ითვლის გვამებს,
ეხ, რამდენი შავი წუთი ჩავკეცეთ,
ვერ ვიშორებთ ატკივებულ წამებს!

ჰო, მეწყერმა ყველაფერი ჩაყლაპა,
ვეღარ ვარჩევთ კაცებსა და ქალებს,
ვეძებთ ბავშვებს, ხსნა არსაით ალარ ჩანს,
მსგავსი არა-უნახიათ თვალებს!

აქა-იქ თუ გაიელვა იმედმა,
ეს იმედიც, ცივია და შორი,
საქართველოს დიდ ტკივილად დარჩება
უიმედოდ დარჩენილი შოვი!

დილა იყო ლამაზი და მზიანი,
როგორც გემის მოფრიალე აფრა,
აქ მეწყერმა დღეს მოსტაცა ნათელი,
დალამდა და ყველაფერი გაქრა!

შოვის განსაცდელი

ღამე იყო იდუმალ ალვსილი,
მაღმფოთებდა დარდი, იჭვები,
ბუნება გარინდებულა
მის იდუმალებაში ვიჭრები.
თვლემს გარემო უტყვი
აღმფოთებით სარკმელს ვაწყდები,
ვცდილობდი მის საიდუმლოს
ნეტავი ვითარ ჩავწვდები.
ვდარდობ ძალიან, ძლიერ,
ჩემს დარდს არ ვმალავ, გიტყდები,
ღელავს სულის აღმაშფოთებლად
სასაფლაოზე ტიტები.
ცოდვა დუღს დედამიწაზე,
მაშფოთებს მასზე ფიქრები,
ღმერთო, უფალო, გვაშორე
ნიალვარული წვიმები.
ვით წაილეკოს ვარამი
მდუღარე ცრემლთა დინებით?
განსაცდელიდან ამოვალთ
მჯერა მრავალი ღმრთის ნებით.
ვყვირი, უწუმრად ვტირივარ,
დარდისგან გამიშრა ყელი,
ყოველმა ერთურთს ჩავჭიდოთ
განსაცდელის ჟამს კვლავ ხელი.
სივრცეს გავცექერი იდუმალს,
ფიქრებს ერთვიან ფიქრები,
ღელავს სულის აღმაშფოთებლად
სასაფლაოზე ტიტები.

ნინო ჩოსტიაშვილი (ნინო)

ვერეს...

თრიალეთის ქედი ქუხდა,
ვერეს წაეფარა ქუდად,
ბეთანია ცრემლსა ღვრიდა,
მტკვარი გლოვის ზარსა სცემდა.

ღმერთო, ხალხი რატომ იმკის,
სხვის ჩადენილ ცოდვის სამკალს,
მნამს, ურემი დაეწევათ,
ვინც უგულოდ, გზასა წნავდა.

ვერეს ხეობა

ცამეტი ივნისი, დღე არის გლოვის,
ზესკნელს და ქვესკნელს შორის.

ტალახით, წვიმით და მორით,
ნალეკა უბანი ორი.

ღრიალებს ვერეს ხეობა,
დღესაც გაწვიმდა გლოვით.

ცოცხლებს და გარდაცვლილთ შორის,
ვერ გვიპოვია ორნი.

და სტირის...

აღარ ისმის გუდასტვირი, რაჭა შაორს დასტირის,
ჭალას წყალი დამშრალა და სუფრას უძლის ხვატი ჭირს.

ტაში ბიჭო გიორგუნა, აღარ ისმის, აღარ და
ვინ და როდის იორგულა, ვერ გაიგებ, დაღამდა.

საქორნილო ხვანჭკარათი, დღეს შენდობას იტყვიან,
ბადაგტკბილი ნაცრემლარი დღეს მწარე და უტყვია.

ბედო, რად ხარ მუხანათი, რად ჩააქრე სანათი,
შესანდობარს რატომ ითხოვს საქორნილო ბარათი.

ჯერ შეუმშრალ ცვრიან ბალახს ცელი რატომ ბალახობს,
ველზე ახლად ამოზრდილი, ჯეჯილი რად ტალახობს.

უნანაოდ აკვანს არწევს დედა თავშლით ცრემლს იშრობს,
რაჭას გლოვის დღეებია, ბავშვიც არა თამაშობს.

სხვა ქართველი...

გადაუარა შოვს ცოდვის დელგმამ,
ატეხილია სხვა ქარტეხილი.
უსტუმროდ დარჩა დღეს საქანელა
და სიო არხევს ჯაჭვებს ნელ-ნელა.
მზიანი დღეა, ნისლი წევს სულში,
ვენები ლამით მაქვს დატბორილი.
დედას შემოხვდა შვილის საკინძე,
შვილს შერჩა დედის „სარაფნის“ კიდე.
შვილი იბრძოდა მამის იმედად,
მამას თოჯინა ერგო იმ-ერთად.

მაშველ-მშველელი ხედავს ვერ შველის
და გული...
გული უსკდება.
ამის მომსწრეს და ამის დამნახველს,
სისხლძარღვებს სისხლი ტბორებად ახვევს.
მზის სხივიც კარგავს ძალას ამ დილით
და სულს ედება ნისლი ისლებად.
გულში დავანთებ ხსოვნას სანთლებად,
არ გიწერიათ თქვენ დავიწყება.

რას დაგაპლაგს წვიმა, ქარი...

ნიკორწმინდა გედგა მცველი,
სალოცავი წმინდა მხსნელი,
რას დაგაკლებს წვიმა, ქარი,
თუ არ ჩაერია მრუდედ, არაკაცთა, კაცის ხელი?!

შეც ჭირი...

მზეს ვეძებდი ნიკორწმინდას,
ვერ ვიპოვე, ლამი წვიმდა,
შენს იმედად დარჩენილებს,
ვერ შველოდი,
დაგვტიროდი,
ნალკოტს, ლამად გადაქცეულს,
მოწყვეტილ მთას შენც ტიროდი.
ვხედავ, ვეღარ ზიდა ღმერთმაც,
ვერცხლოთმოყვარე კაცთა დღენი.
ტყეს რომ ჩეხავ, მიწას ჰყიდი,
ხვალ რას ელი...

სხვას რას ელი?!
გუშინ დავრჩით უსუსური,
კლდეკარივით ვიმსხვრეოდით,
რაჭის მთებში ჩაიკარგა,
დაგვიდუმა ბუბამ შოვი.
...და წალკოტი წაილეკა,
ყველგან რეკავს
გლოვის ზარი.
თავდახრილი გლოვობს ერი,
სხვისი ცოდვით ჩამქრალ სხივებს.
გლოვობს ერი, ტირის ღმერთიც,
უცოდველნი-ცოდვისათვის,
რისხვით რომ აღგავა შოვი.

შოვის ნაკვალევი...

ვაჟა-ფშაველას

„ბუნება მბრძანებელია“, ვაჟავ!
ამოეკვეთა რაჭას, მეორედ.
ღმერთო, ჩამოჯექ უძირო ტბასთან,
ჯვარცმად არასდროს არ განმეორდე!

სალპად ვერ დაგადე, საქართველო!

ვერ მოიშუშე, საქართველოვ, ნაჭრილობები,
მოუშუშებელ ტკივილებზე წაგვეფარა ლამის ტბორები.
რაც ვერ წაგვართვეს, ომებით და მავთულხლართებით,
ანადგურებენ დამეწყრილი, ბნელი ძალები.

01 სანაპი

ვუსამძიმებ სრულიად საქართველოს!

ი ს ე ვ დუმილი
და ისევ ცრემლი...
- ასე როდემდე,
როდემდე ვივლით?

ჯერ იყო ვ ე რ ე,
ახლა კი შ ო ვ ი,
საქართველო კვლავ,
დღე დადგა გ ლ ო ვ ი ს.

ს უ ლ ი ტკივილით
როგორ აივსო...
ფ ი ქ რ ი მომავლის,
ს ე ვ დ ა მ წაილო...

ცრემლი დატოვა

...წავიდნენ,
სულში სევდა გათოვდა,
მოლოდინმა კი,
ცრემლი დატოვა...
ფიქრი არ წყდება,
ცოდვას აწყდება,
სინანულისთვის -
გვიხმობს განგება...

გევსება გული -
ნატანჯი ფიქრით,
დამუნჯდი თითქოს,
ვერაფერი თქვი,
დამდგარა, რადგან
დრო, ზეცის სიტყვის,
განურჩეველად შენთვის,
თუ სხვისთვის...

ამოდის მზე და
ანათებს „სხვა-ფერ“,
მთვარე ნაღვლიან,
ვერცხლისფერს
აფრქვევს...
უთვალავ წლებით,
მოესწრნენ რამდენს,
ვარსკვლავს შეუცნობს,
თვალს ადევნებენ...
უერთდებიან -
ხან ბნელს, ხან ნათელს...

ՑՐՅՑ

ՇԿՈԴԵԳԱՆՈԾ ԹԻՖԵԹԵԱՅ, ՑՍԱՀՆ,
ՏԻՉՄԱՐՏԱ ՑԵՐԱՎԵԱՐ, ԱՎՈ ՑԱՅԵՑՍԱՀՆ,

ՏԱՏԵՐԵՎՈՒՅՈՒՆԻԱ...
ՄԻՋ ՌՈՋ ՑՐԳՎՈՆԱՅՍ,
ՄԻՋԱ ՑՐՈՎԱԼՈՋՏ,
ՏԱՑԿՈՎԱՐՈ,
ՑԻՋՈՄՈՋՈ
ՄՈՎԼՈՆԵՑՍԱՀՆ...

ԿԱՅՈՎԵԼ ՏԵՂՈՎ ՄՏԵՐՑԱԼՄԵՆԻՐՎՈՒԹ -
ՑԵՐԵՐԵՆԵՑԵՑՆԵՐԵԱՐ,
ՑԵ-ՑԱՄ „ՑՍԻՑՊՎՈՒ“-Ը
ՑԱՑԱՐԵՆԱ, ԱՋԱՄԻԱՆՈ.

შოვის ტრაგედია

მოჯარდა და იძრა მიწა,
ტყე-ღრე მწარედ ხავის,
ჯოჯოხეთმა თუ აიშვა
ერთიანად თავი?
სალმობაო, არნახულო,
გზა სად უნდა ვქებნო?
ვაი, ცოცხლად დამარხულო
დადფიცნო და ძმებო!
ნიალვარო, რისთვის ცდილობ,
ვიყოთ შენი წერა?
ვაი, ბაგეს მოწყვეტილო
მწუხარების ბგერავ!
აქ ვერ აღწევს სანატრელი
ხმები გულისცემის,
აქ დაღვრილა მთელი ერის
დასალვრელი ცრემლი.
ცა ნისლს იდგამს ტიარადა,
დღემ იცვალა ნირი,
აქ ბალახი კი არა და
ქვაც კი ცხარედ ტირის.
მოდის წარლვნა და მერეხი,
ამ საზარელ ღამეს,
ტალანებში გულხენეში
კერპები თუ აღდგნენ?
მთა იშლება, სკდება ბორცვი
ხელში გვრჩება არც რა,
ჩვენ ვიხილეთ ჩვენი ხორცის,

ჩვენი ჯიშის ჯვარცმა.
ვარ ამ ამბით ნაწამები,
სისხლის მელნით ვწერე,
ვხედავ დამფრთხალ პატარების
ცისკენ გაწვდილ ხელებს.
ხლეჩს ღვარცოფი კლდეს, ვით ლებანს,
მომხმარეს სით ვუხმო?
ღამე თავზე მათენდება,
მათენდება უხმოდ.
ნუთუ მიწის მოთხრას ლამობ,
დაბურულო ცაო?
ჩემს გულშია სამუდამოდ
ძმათა სასაფლაო!
აქ ვერ აღწევს სანატრელი
ხმები გულისცემის,
აქ დაღვრილა მთელი ერის
დასალვრელი ცრემლი.

მე მტკიცა შოვი...

არ გვპატიობს ღალატს და შურს ჩვენ უფალი...

ვინაიდან ეს ქვეყანა

უფლის არის...

რაღად უნდა გაკვირვება, სიტყვა მხდალი...

ვილოცოთ და სულ ვადიდოთ მაცხოვარი...

- ვეღარ ვიცლით?!

არ გვცალია?

მერამდენედ...

ცოცხლად გვმარხავს, ცოდვა-მადლი სულ ტრიალებს...

არც კი მიკვირს სამყაროსგან არაფერი,

რადგანაც დღეს ქართველები ცოტა არის...

- ქართველობა არ ყოფილა მთლად ადვილი,

უნდა იყო სულით-გულით მეომარი,

ოდითგანვე ათი მცნების ყმა ერთგული,

დღეს კი მოძმეს არად აგდებს მოღალატე...

- ნამეტანი მოინდომეს ჩვენმა ძმებმა,

გააშიშვლეს და გაკაფეს ტყე და ხევი,

პოდა, ვიმკით ძალზედ მძიმე განსაცდელებს,

რადგან ფულში გაყიდულა დღეს საყდარიც...

ეავით სელამანიძე

მოვს

სევდიან ფიქრის არ მინდა განსჯა,
ტკივილი ჩვევად გვექცა თუ არა,
რაჭის მთებიდან დაძრულმა ცრემლმა
დღეს საქართველოს გადაუარა.

რაჭა

მთებმა მრისხანედ დაიგუგუნეს,
საქართველომ კი შავი ჩაიცვა,
მოვარდნილ მეწყერს შერჩა პირისპირ
და რაჭამ თავი ვეღარ დაიცვა.
რამდენი შვილი დაობლდა, ღმერთო,
რამდენმა დედამ ჩაიცვა თაღები,
ცრემლები მახრჩობს და სული მტკივა,
გულს მეკიდება მტანჯველად ცეცხლი.
რატომ გაგვირე, მამულის მთებო.
ჩვენ შენი ფასი ქვეყნად ვინ გვყავდა,
ყოველი დილით, ყოველ დაისზე,
კვლავ შენი ცქერა გვსურდა, გვიყვარდა.
ღმერთთან მიდიან სიცოცხლეები,
სულნი კეთილნი, სულნი უბრალო,
თბილად მიიღე, გულში ჩაიკარ
და უპატრონე, შეგთხოვთ, უფალო!

ՅՈՅՈ...

Ցեպած ჩամոնցա յոյզնո
და դեდամոնտ օժրա.
Ռաֆու մգոնարյ ագոգդա,
գլու լամեդ ցագայէցա.
ցարքու վալու տա ծացշցո,
գլեճա, մամա դա մզոլու,
ռա բանջցա ցամուարյս,
ցելար ցայսլոյս թյոզոլս.
գլեմց ցիկին դա-մմաս,
գլեմց ցիկին մրացալս.
ցոյալու, ցութեալու դարհինեն,
նոյ մուպոլու մատ տալս.
